



**მწკანა**  
აღჭეინაწივა

## სახელმძღვანელო

მანგანუმის მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი  
მოსახლეობისათვის



სახელმძღვანელო მომზადებულია ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI-ZUG) ფინანსური მხარდაჭერით.

ეს გამოცემა წარმოადგენს ასოციაცია მწვანე ალტერნატივას საკუთრებას. დაშვებულია გამოცემის გამრავლება არაკომერციული მიზნებისათვის, პირველწყაროს მითითებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებისა და მანგანუმის გამდიდრებელი საწარმოს ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი. ნაშრომს საფუძვლად დაედო როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში ჩატარებული კვლევების შედეგები, სპეციალისტთა ნაშრომები, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია.

გამოცემაში აღწერილია ის საფრთხეები, რომელსაც უქმნის ადმიანის ჯანმრთელობასა და გარემოს ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებისა და გამდიდრების არსებული პრაქტიკა; მანგანუმის მომპოვებელი კომპანიის ვალდებულებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესაძლებლობები.

ავტორები: თამარ გუგუშვილი, ნინო წიკლაური

რედაქტირება: ირაკლი მაჭარაშვილი, ნინო გუჯარაიძე, ქეთი გუჯარაიძე

თბილისი, 2010

**სარჩევი**

**შესავალი** .....1

**1. მანგანუმი** ..... 3

1.1. მანგანუმის გამოყენება ..... 3

1.2. მანგანუმის მოპოვება საქართველოში ..... 3

1.3. ჭიათურის საბადო ..... 3

**2. ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საქმიანობის ზაგავლენა გარემოზე** ..... 5

2.1. წყლის დაბინძურება კომბინატის საქმიანობის შედეგად ..... 6

2.2. ჰაერის დაბინძურება კომბინატის საქმიანობის შედეგად ..... 7

2.3. ნიადაგის და გრუნტის დაზიანება ან დაბინძურება ..... 7

2.4. ლანდშაფტის ცვლილება ..... 8

2.5. საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი ..... 8

2.6. ზემოქმედება მცენარეულ საფარზე ..... 8

2.7. ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე ..... 8

2.8. ნარჩენები ..... 9

2.9. ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დაკისრებული სხვა ვალდებულებები ..... 9

**3. მანგანუმის მოპოვების ზაგავლენა ჯანმრთელობაზე** ..... 10

3.1. მანგანუმის მოპოვებაზე მომუშავეთა შრომის პირობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა ..... 10

3.1.1. შრომის პირობები ..... 11

3.1.2. მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ..... 12

3.1.3. რეკომენდაციები მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ..... 13

3.2. მანგანუმის მიერ გამოწვეული ძირითადი დაავადებები ..... 13

3.3 პროფესიით განპირობებული სინდრომის ნაირსახეობები ..... 14

3.4 მანგანუმისა და ვიბრაციის ერთობლივი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ..... 14

**4. რა უნდა იცოდეთ თქვენი საგუბარო პირობების შესახებ** ..... 16

4.1. უსაფრთხოების რა ზომები უნდა იყოს დაცული საწარმოში? ..... 16

4.1.1. ჰაერში მავნე ნივთიერებათა შემცველობის კონტროლი ..... 16

4.1.2. კარიერთან დაკავშირებული მოთხოვნები ..... 16

4.1.3. მადნის გადამამუშავებელ ფაბრიკასთან დაკავშირებული მოთხოვნები ..... 17

4.1.3. რეკომენდაციები მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ..... 17

4.2. დამსაქმებლის ვალდებულებები ..... 17

4.3. პასუხისმგებლობა შრომის წესების დარღვევისათვის ..... 18

**5. რა უნდა იცოდეთ თქვენი საკუთრების და ექსპროპრიაციის შესახებ** ..... 18

5.1. ექსპროპრიაცია ..... 18

5.2. მესაკუთრისა და ექსპროპრიატორის ურთიერთობა ..... 19

5.3. გასაჩივრების უფლება ..... 20

**6. სასამართლო დავა** ..... 20

6.1. რა საკითხები შეიძლება გახდეს სადავო? ..... 20

6.2. სასამართლო ..... 20

6.3. ხანდაზმულობა ..... 21

6.4. სასამართლოსათვის მიმართვა ..... 22

6.5. სახელმწიფო ბაჟის განაკვეთები ..... 23

**7. გამოყენებული ლიტერატურა** ..... 26



## შესავალი

წიადისეული - სიმდიდრე თუ უბედურება?

უძველესი დროიდან ადამიანმა ისწავლა დედამიწის ქერქიდან მინერალების და სხვა წიადისეული რესურსების ამოღება. კაცობრიობის განვითარების პარალელურად განვითარდა წიადისეულის მოპოვების ტექნოლოგიები, შესაბამისად გაიზარდა წიადისეულის მოპოვების მასშტაბები.

თანამედროვე მსოფლიოში ბუნებრივი რესურსები, მათ შორის, მინერალური რესურსები, ჩვეულებრივ, ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ასოცირდება. თუმცა, ხშირად, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მოპოვებითი მრეწველობის განვითარება ნაკლებად აისახება სიღარიბის დონის მაჩვენებელზე. კვლევები აჩვენებს, რომ რესურსზე დამოკიდებული ქვეყნები უფრო ნელა ვითარდებიან ეკონომიკურად, ვიდრე რესურსით ღარიბი ქვეყნები. ისიც ცნობილია, რომ მინერალურ რესურსებზე დამოკიდებულ განვითარებად ქვეყნებში მეტია კორუფციის რისკი და იკვეთება სუსტი მმართველობის ტენდენცია<sup>1</sup>.

წიადისეულის მოპოვება მრავალ წინააღმდეგობრივ საკითხს უკავშირდება. ერთი მხრივ, ის შემოსავლის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყაროა. თუმცა, ამავდროულად შეიძლება გრძელვადიანი ზიანი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოს.

წიადისეულის მოპოვებას უდიდესი გავლენა აქვს გარემოზე. ფართომასშტაბიან მოპოვებით საქმიანობას, ჩვეულებრივ, უკავშირდება დიდ ტერიტორიებზე ტყეების გაჩეხვა და მცენარეული საფარის განადგურება. ეს საგრძნობლად ცვლის ლანდშაფტს და გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. ხდება მიწისქვეშა, ზედაპირული წყლების და ნიადაგის დაზიანება. იცვლება სოციალური გარემო. შეცვლილი სოციალური და ბუნებრივი გარემო პირობები ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, მაგალითად, როდესაც მოპოვებითი საქმიანობა იკავებს სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ ტერიტორიას, ან ხდება სასმელი და სარწყავი წყლის დაზიანება და სხვ.

<sup>1</sup> “წიადისეულის მოპოვება და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ეკოსისტემები: რისკების განსაზღვრა”, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი, ვაშინგტონი, 2003 წ.; “მოპოვებითი მრეწველობის ზეგავლენა განვითარებად ქვეყნებზე”, დედამიწის მეგობრები - ევროპა, 2007წ.

ყველაზე კარგად მოწყობილი საბადოების შემთხვევაშიც კი ადგილი აქვს გარკვეული სახის უარყოფით ზემოქმედებას. თუმცა, შესაძლებელია ამ ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა, თუ მომპოვებელი კომპანიები იმუშავებენ საუკეთესო სტანდარტების შესაბამისად. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მომპოვებელი კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი არ არის სათანადოდ გამყარებული ეროვნული კანონმდებლობების მოთხოვნებით ან არ არსებობს საკმარისი კონტროლი კანონის მოთხოვნების შესრულებაზე. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იყოს იმის შესახებ, თუ რა სახის მოპოვებითი საქმიანობა მიმდინარეობს ან იგეგმება მათი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად, როგორია ამ საქმიანობის გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენა, რა ვალდებულებები აქვთ მომპოვებელ კომპანიებს მათ წინაშე, რა იურიდიული (მაგალითად, საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებული) პრობლემებისა და საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ და სხვ.

ეს სახელმძღვანელო სწორედ წიადისეულის მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, კერძოდ, ჭიათურის რაიონის მოსახლეობისთვის, რომელიც ცხოვრობს მანგანუმით მდიდარ ტერიტორიებზე და მანგანუმის საბადოების მახლობლად.

მომდევნო თავებში ჩვენ განვიხილავთ მანგანუმის მოპოვების ისტორიას საქართველოში, მანგანუმის მოპოვების ზოგიერთ ტექნიკურ დეტალს, ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საქმიანობის ზეგავლენას გარემოზე, კომბინატში მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და მის კავშირს მანგანუმთან, ასევე მოსახლეობისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან იურიდიულ საკითხებს, როგორცაა დამსაქმებლის (ამ შემთხვევაში ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი) ვალდებულებები მათ წინაშე, ან საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები.

ნაშრომს საფუძვლად დაედო როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში ჩატარებული კვლევების შედეგები, სპეციალისტთა ნაშრომები, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტაცია.





**1. მანგანუმი**

მანგანუმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქიმიური ელემენტია. ის დედამიწის ქერქის დაახლოებით 0.1%-ს შეადგენს. მანგანუმი ბუნებაში თავისუფალი სახით მოიპოვება. მას შეიცავს ნიადაგი. ხშირად მანგანუმი რკინასთან და სხვა მინერალებთან კომბინაციაში გვხვდება. მანგანუმი ნაცრისფერ-თეთრი ლითონია, რომელიც რკინას წააგავს. კომპაქტურ მდგომარეობაში მანგანუმი ღია ნაცრისფერია, ხოლო ფხვნილი – მონაცრისფრო შავია. მანგანუმი მაგარი და ძლიერ მყიფეა. ძნელად ლღობადია, მაგრამ ადვილად იჟანგება. ძველთაგანვე ცნობილია მანგანუმის მადანი პიროლუზიტი – MnO<sub>2</sub>.

მანგანუმს შეიცავს ყველა ცოცხალი ორგანიზმი. ის ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიოელემენტია. ადამიანის ორგანიზმი შეიცავს დაახლოებით 10 მგ-მდე მანგანუმს, რომელიც ძირითადად ღვიძლში და თირკმელებშია დაგროვილი. მანგანუმი შედის ძვლების შედგენილობაშიც. მცირე კონცენტრაციით მანგანუმს ადამიანის თითქმის ყველა ორგანო შეიცავს. მანგანუმი მონაწილეობს ადამიანისა და ცხოველთა სისხლწარმოქმნელ ფუნქციებში, ძვლის ზრდის პროცესში, ზეგავლენას ახდენს სასქესო ორგანოების ფუნქციებზე, ცილების, ნახშირწყლების, ცხიმების ცვლაზე. ის მრავალი ფერმენტისა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მცენარეებში მანგანუმი მონაწილეობს ფოტოსინთეზის პროცესში.

**1.1 მანგანუმის გამოყენება**

მანგანუმი ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში, რკინა-მანგანუმის შენადნობების – ფერომანგანუმის, ფოლადის და უჟანგავი ფოლადის წარმოებაში, ელექტროტექნიკურ და ქიმიურ მრეწველობაში, მედიცინაში, ფარმაცევტული პრეპარატების, ლაქ-საღებავების წარმოებაში, კერამიკაში, მინის, ტყავის წარმოებაში, ფოტოგრაფიაში. მანგანუმი ასევე გამოიყენება მინერალურ სასუქად სოფლის მეურნეობაში.

მანგანუმის იონებს სხვადასხვა შეფერილობა აქვს, რაც დამოკიდებულია მათი ოქსიდაციის ხარისხზე. ამ თვისების გამო ისინი გამოიყენება ინდუსტრიაში როგორც პიგმენტები. ნატრიუმის, კალიუმის და ბარიუმის პერმანგანატები ძლიერი დამჟანგავებია. მანგანუმის დიოქსიდი გამოიყენება როგორც კათოდი სტანდარტულ და ალკალაინის ტიპის ბატარეებში.

**1.2 მანგანუმის მოპოვება საქართველოში**

საქართველოში მდებარე მანგანუმის საბადოები სპეციალისტების შეფასებით გამოირჩევა მადნის მაღალი ხარისხით, დიდი სამრეწველო მარაგით და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით. ამჟამად საქართველოში ძალაშია მანგანუმის მოპოვებაზე გაცემული შემდეგი ლიცენზიები:

- ☑ შპს “ადვ-ტოგო” - ჩხარი-აჯამეთის მანგანუმის (20 246 ტ) მოპოვება თერჯოლის რაიონის სოფელ ძევისა და სოფელ ჩხარის ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2009 წლის 30 ივლისს 19 წლის ვადით.
- ☑ შპს «ჯორჯიან მანგანუმი» - ჭიათურის მანგანუმის საბადოზე მანგანუმის (2008-2011 წწ მინიმუმ 1 600 000 ტ, მომდევნო წლებში - მინიმუმ 400 000 ტ) მოპოვება ჭიათურის და საჩხერის რაიონების ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2008 წლის 3 დეკემბერს 38 წლის ვადით.
- ☑ შპს “მეტექსი” - “შქმერის” მანგანუმის (1 090 686 ტ) მოპოვება ონის რაიონის სოფელი შქმერის ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2008 წლის 21 ნოემბერს 20 წლის ვადით.
- ☑ შპს “რუსმეტალი” - ჩხარი-აჯამეთის (ბროლის ქედის) მანგანუმის (182 215ტ) მოპოვება თერჯოლის რაიონის სოფელ ძევისა და სოფელ ჩხარის ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2008 წლის 30 ივლისს დეკემბერს 19 წლის ვადით.
- ☑ შპს “მეტექსი” - “შქმერის” მანგანუმის (837 972ტ) მოპოვება ონის რაიონის სოფელ შქმერის ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2008 წლის 4 თებერვალს ოცი წლის ვადით.
- ☑ შპს “ქართული ცემენტი” - ჩხარი-აჯამეთის (ბროლის ქედის) მანგანუმის (20 000ტ) მოპოვება თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირდელეს ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2007 წლის 27 დეკემბერს 20 წლის ვადით.
- ☑ შპს “რუსმეტალი” - ჩხარი-აჯამეთის (ბროლის ქედის) მანგანუმის (20 000ტ) მოპოვება თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირდელეს ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემულია 2007 წლის 21 დეკემბერს 20 წლის ვადით.

ამ სახელმძღვანელოში განვიხილავთ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ - ჭიათურის საბადოს.

**1.3 ჭიათურის საბადო**

საბადო მდებარეობს ჭიათურისა და საჩხერის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორიაზე, მდინარე ყვირილას ხეობის შუა ნაწილში. საბადოს მიერ მოცული ტერიტორიის სიმაღლე



ზღვის დონიდან 533-800 მეტრია. მდინარე ყვირილას ხეობა და მისი შენაკადები საბადოს ყოფს ე.წ. ზეგნებად. სულ საბადოზე ცამეტი ასეთი ზეგანია.

საბადოს ექსპლუატაცია 1879 წელს დაიწყო. 1879 – 1922 წლებში ჭიათურის საბადოს ექსპლუატაციას ეწეოდნენ ადგილობრივი კერძო პირები, უცხოელი კაპიტალისტები და სხვადასხვა სააქციო საზოგადოებები და გაერთიანებები. ამ პერიოდში საბადოს დამუშავება პრიმიტიული წესებით, ხელით ხდებოდა.

1923 წელს დაარსდა “შავი ქვის საგანგებო სამმართველო” და საბადოს დამუშავება სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად.

1925 წლის ივნისში მთავრობამ ჭიათურის მანგანუმის საბადო ოცწლიანი იჯარით გადასცა ამერიკელ კონცესიონერს ჰარიმანს. მაგრამ კონცესიის პერიოდში მანგანუმის წარმოება დაქვეითების გზას დაადგა, რის გამოც, 1928 წლის აგვისტოში მთავრობამ ჰარიმანთან დადებული ხელშეკრულება გააუქმა.

1928 წლის აგვისტოში დაარსდა “ჭიათურმანგანუმის” ტრესტი. საბჭოთა კავშირში მეტალურგიის სწრაფმა განვითარებამ და ექსპორტის ზრდამ ჭიათურის მანგანუმის მეურნეობის ძირფესვიანად გარდაქმნა და ახალი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა მოითხოვა. აშენდა მადნის ახალი მომპოვებელი კომპლექსები.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს დამუშავების დაწყებიდან 1990 წლამდე მოპოვებულია 203 მლნ. ტონა ნედლი მადანი და რეალიზებულია 108 მლნ. ტონა სასაქონლო პროდუქცია.

1990 წლიდან მანგანუმის მოპოვება მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით 1996-1998 წლებში. ეს ძირითადად, გამოწვეული იყო ენერგოკრიზისით და საწარმოს ფინანსური კრიზისით, რამაც სამაგრი და მადნის მიწისქვეშა წესით მოპოვებისათვის საჭირო სხვა მასალების დეფიციტი გამოიწვია. ამის გამო, ბოლო პერიოდში მადანი ღია, კარიერული წესით მოიპოვება.

1993 წელს საწარმოო გაერთიანება “ჭიათურმანგანუმის” ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზოგადოება “ჭიათურმანგანუმი”. “ჭიათურმანგანუმის” პრივატიზებისა და რეაბილიტაციის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჭიათურის რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილებით 2005 წლის 13 იანვარს გაიხსნა საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოება.

2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს “ჭიათურმანგანუმის” აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში გამარჯვება ვაჭრობის ერთადერთმა მონაწილემ - „ჯორჯიან მანგანუზ ჰოლდინგ ლიმიტედმა“, რომელიც ამჟამად როგორც “ჭიათურმანგანუმის”, ისე ვარციხის ჰიდროელექტროსადგულების კასკადის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მფლობელია.

ცხრილი N1 - ჭიათურმანგანუმის პროდუქტიულობა წლების მიხედვით 1990 – 2005 წლებში

წ.წ.	მადნის მოპოვება 1000 ტონა	მოპოვების ცვლილება % 1990 -თან შედარებით	სასაქონლო პროდუქცია ათასი ტონა	პროდუქციის ცვლილება % 1990 წ-თან შედარებით
1990	2831.3	100.0	1251.6	100.0
1991	1265.6	44.7	491.0	39.2
1992	708.7	25.0	292.6	23.4
1993	101.5	3.5	29.3	2.3
1995	121.6	4.3	41.8	3.3
1996	94.4	3.3	15.5	1.2
1997	60.0	2.1	9.5	0.8
1998	9.9	0.3	4.5	0.4
1999	157.4	5.6	29.3	2.3
2000	126.6	4.5	25.3	2.0
2001	290.0	10.2	52.1	4.2
2002	300.0	10.6	68.5	5.4
2003	367.3	12.9	93.6	7.4
2004	518.1	18.3	132.1	10.4
2005	796.4	28.1	195.6	15.6

ჭიათურის მანგანუმის მადანი ორ ტექნოლოგიურ ჯგუფად იყოფა: ადვილად გასამდიდრებელი – ე.წ. “სარეცხი მადნები” და ძნელად გასამდიდრებელი – კარბონატული და დაჟანგული, ე.წ. მჩატეპოროვანი მადნები.

“სარეცხი მადნები” მანგანუმის ჟანგეულებს (ოქსიდებს) წარმოადგენენ. მორეცხვით და დალექვით ასეთი მადნებიდან მაღალი ხარისხის მანგანუმის კონცენტრატი მიიღება. სხვადასხვა სახეობის “სარეცხი მადანი”, რომელიც განსხვავდება შედგენილობით, ფიზიკური თვისებებით და სტრუქტურით, მოითხოვენ სხვადასხვა ხარისხით დამსხვრევას.

2003 წლის მდგომარეობით, კარბონატული მადნები საბადოს 55.4%-ს შეადგენს, ხოლო დაჟანგული, მჩატეპოროვანი – 15.9%-ს. მჩატეპოროვანი მადანს შედარებით მცირე წონა აქვს და მისი გამდიდრებისას მანგანუმის დანაკარგი მეტია. 28,7% ჟანგეულის ტიპის



მადნებია. მოპოვებულ მადანში ჟანგეული მადნების წილი 58%-ს შეადგენს, კარბონატულის 32%, ხოლო დაჟანგული ტიპის მადნების – 10%.

ჭიათურის საბადოს ექსპლუატაციის პროცესში ძირითადად ხდებოდა მდიდარი მადნების მოპოვება, ხოლო ღარიბი მადნები, რომელთა მარაგი საკმაოდ დიდია, ნაკლებად მოიპოვებოდა, რამაც გამოიწვია ჟანგეული მადნების მარაგების მკვეთრი შემცირება. დღეისათვის მათი წილი მთელი მარაგის 28.7%-ს შეადგენს. თუმცა მოპოვებულ მადანში ჟანგეული მადნების ხვედრითი წილი 58%-ია. ამგვარი დისპროპორცია უარყოფითად მოქმედებს საბადოს სამრეწველო პოტენციალზე.

ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკების დაპროექტება და მშენებლობა გასული საუკუნის 30-70-იან წლებში დაიწყო. იმდროინდელი ტექნოლოგია ძირითადად მანგანუმის ჟანგეული მადნების გამდიდრებას ითვალისწინებდა.

ჭიათურის მანგანუმის მადნის გამდიდრების პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: შემოსული მადნის დამტვრევა 15-20 მმ-მდე, მორეცხვა, გაცხრილვა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად და მათი ცალ-ცაკლე დალექვა. 1969-1990 წლებში ფუნქციონირებდა ცენტრალური ფლოტაციის ფაბრიკა, სადაც შლამების გამდიდრება წარმოებდა ქაფიანი სეპარაციის, ფლოტაციის მეშვეობით.

ამჟამად მოქმედია შემდეგი გამამდიდრებელი ფაბრიკები:

ფაბრიკის დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლა	ნედლეულის წყარო (საბადო)
ფაბრიკა 25-ბისი <sup>2</sup>	1935	პერევისა, სტალინის სახელობის მადარო
„პმმფ“ პეროქსიდული მადნების გამამდიდრებელი	1940	რგანი, წერეთლის სახელობის მადარო

<sup>2</sup> შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანუმი“-ს ადმინისტრაციას 2009 წელში დაგეგმილი ჰქონდა ფაბრიკა „25-ბისი“-ის ექსპლუატაციის შეჩერება და შენობა ნაგებობების დემონტაჟი. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (იხ. ქვემოთ, „ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საქმიანობის ზეგავლენა გარემოზე“) მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო: "დამუშავდეს ფაბრიკის ლიკვიდაციის სამუშაოების პროექტი და შეთანხმდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან". თუმცა უახლესი არსებული დოკუმენტაციის თანახმად (ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა, 2010 წ.), გამამდიდრებელი ფაბრიკა „ბისი“ ამჟამად წარმოადგენს კომბინატის ერთ-ერთ მოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

ფაბრიკა		
ცმფ-1 ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა №1	1950	შუქრუთის მადარო
ცმფ-2 ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა №2	1957	ითხვისი, პატარიძის სახელობის მადარო
ფაბრიკა 29	1961	მღვიმევის მადარო
ამფ -ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა	1961	დარკვეთის მადარო
ცდფ	1962	შუალედური პროდუქტი

## 2. ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სახელობის ზეგავლენა გარემოზე

ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დღეისათვის მოქმედი ფაბრიკებიდან ყველაზე ახალი აშენებულია ფაბრიკა „ცდფ“ - 1962 წელს, ხოლო ყველაზე ძველი - „ბისი“ - 1935 წელს. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფაბრიკის ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მნიშვნელოვან ტექნოგენურ დატვირთვას და ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვნად სახეცვლილია.

2009 წლის იანვარში შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით წარადგინა ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ანგარიშში განხილული იყო კომბინატის მიმდინარე საქმიანობის პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების წყაროები და სახეები. შეფასებული იყო გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ხარისხი და ანალიზის საფუძველზე დადგენილი იყო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი ანგარიშის ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად 2009 წლის თებერვალში სამინისტროში მომზადდა შესაბამისი დასკვნა, რომლის თანახმად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა დასაშვებია იყო მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში წარმოდგენილი პირობების შესრულებაზე ვალდებულების ალების შემთხვევაში. მოგვიანებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ გადასცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომლითაც საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალია რიგი ღონისძიებების უპირობო შესრულება.





ქვემოთ განვიხილავთ კომბინატის საქმიანობის ზემოქმედებას გარემოზე და იმას, თუ რა ვალდებულებები აქვს „ჯორჯიან მანგანუმს“ დაკისრებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღებისას. ცალ-ცალკე განვიხილავთ წყლის, ჰაერის, ნიადაგის და სხვა დაბინძურების საკითხებს. ამ ნაწილში მოყვანილი მონაცემები ეყრდნობა ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (2008წ), კომბინატისთვის დაკისრებული ვალდებულებები კი, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პირობებს წარმოადგენენ და სავალდებულოა შესასრულებლად - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას.

**2.1. წყლის ლაბინჟურება კომბინატის საქმიანობის შედეგად**

საწარმოო ჩამდინარე წყალი, რომელიც მადნის რეცხვის პროცესში წარმოიქმნება, დიდი რაოდენობით შეიცავს შეწონილ ნაწილაკებს და მანგანუმის ნაერთებს და მცირე რაოდენობით სხვა მიკროელემენტებს.

ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით ფაბრიკებთან მოწყობილია სალექარები და დორები, სადაც ხდებოდა შეწონილი ნაწილაკების (შლამის) დალექვა, რის შემდეგაც წყალი ბრუნდებოდა გამამდიდრებელ ფაბრიკებში მეორადი გამოყენებისათვის. ფაბრიკებიდან შლამის გასატანად მოწყობილი იყო შლამსადენი (ორი პარალელური მილსადენი), რომლის საშუალებითაც შლამი მიეწოდებოდა ცენტრალურ ფლოტაციურ ფაბრიკებს, სადაც ხდებოდა შლამიდან მანგანუმის კონცენტრატის გამოყოფა. დარჩენილი შლამი გადაიტუმბებოდა ე.წ. “ღურღუმელა“-ს წყალსაცავზე. “ღურღუმელას“-ს წყალსაცავში ხდებოდა შლამის დალექვა, რის შემდეგაც გაწმენდილი წყალი ბრუნდებოდა მეორადი გამოყენებისათვის.

ამჟამად შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანუმი“-ს ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის არცერთ გამამდიდრებელ ფაბრიკას არ გააჩნია მოქმედი გამწმენდი ნაგებობა, ხოლო ადრე არსებული შლამსადინარები მწყობრიდანაა გამოსული. შესაბამისად “ღურღუმელას” შლამსაცავი დღეისათვის უმოქმედო მდგომარეობაშია.

ფაბრიკებში მწყობრიდან გამოსულია სალექარებისა და დორების უმრავლესობა, ხოლო შლამსადენი საერთოდ აღარ არსებობს და გამამდიდრებელი ფაბრიკების ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ყვირილაში, რაც

იწვევს მდინარის წყლის შეწონილი ნაწილაკებით და მანგანუმის ნაერთებით დაბინძურებას.

2008 წლის 9 თვის განმავლობაში მდ. ყვირილაში და მის შენაკადებში ჩაშვებული იქნა 375 961 ტონა შლამი (მშრალ წონაზე გადაანგარიშებით), რაც დაახლოებით შეადგენს 501 281,3 ტ/წელს.

ყვირილას დაბინძურების დამატებითი წყარო არის ასევე აგლომერატის სანაყარო, რომელზეც ხდება გამამდიდრებელი ფაბრიკა “ცდვ“-ის მიერ სხვადასხვა ფაბრიკების შუალედური პროდუქტების გადამუშავების შემდგომ მიღებული აგლომერატის განთავსება. ეს არის შუალედური ნარჩენი, რომელიც საშუალოდ შეიცავს 15.4% მანგანუმს და გამამდიდრების ტექნოლოგიების გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისგან მანგანუმის კონცენტრატის მიღება<sup>3</sup>. სანაყარო მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზეა განთავსებული. სანაყაროზე დასაწყობებულია დაახლოებით 805 845 ტონა აგლომერატი. ტერიტორია არ არის შემოღობილი და არ გააჩნია წყალამრედი არხები, რის გამოც ატმოსფერულ წყლებთან ერთად აგლომერატი ჩაირეცხება მდ. ყვირილაში. ამის გარდა, სანაყაროს მდ. ყვირილას მხრიდან არ გააჩნია დამცავი კედელი და აგლომერატი დიდ მონაკვეთზე განთავსებულია მდინარის აქტიურ კალაპოტში. ყოველი წყალდიდობის დროს ადგილი აქვს გამორეცხვას, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით აგლომერატი ხვდება მდინარის წყალში. ეს იწვევს დიდი რაოდენობით აგლომერატის დაკარგვას და მდ. ყვირილას დამატებით დაბინძურებას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მდ. ყვირილას და მისი შენაკადების მნიშვნელოვნად აბინძურებენ, ქ. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედი მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი მცირე საწარმოები, რომლებიც ეკუთვნის სხვა იურიდიული პირებს. არცერთ მათგანს არ გააჩნია მეტნაკლებად მისაღები ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარები.

წყლის დაბინძურების შესამცირებლად შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანუმს“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დაკისრებული აქვს შემდეგი ვალდებულებები:

- ავტოსატრანსპორტო საწარმოს საწარმო-სანიაღვრე წყლების შეშენილი სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;

<sup>3</sup> იხ. ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (2008 წ).





- ❑ გამამდიდრებელ ფაბრიკებთან საწარმო-ჩამდინარე წყლების ლოკალური სალექარების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და განხორციელება;
- ❑ მდ. ყვირილას დაბინძურების აღკვეთის მიზნით ცენტრალური გამწმენდი ნაგებობის და შლამსადენების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და განხორციელება უახლოეს ორ წელიწადში;
- ❑ ჩამდინარე და ზედაპირულ წყლებში შეწონილი ნაწილაკების და მანგანუმის შემცველობის მონიტორინგის წარმოება;
- ❑ ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის მიზნით ეკოლოგიური ლაბორატორიის შექმნა და სათანადო შტატით და ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვა;
- ❑ აგლომერატის სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების მოწყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის აგება.

**2.2. კაარის ღაბინაშრაბა კოზბინაშინ  
საქმიანოზის შეღვაგაღ**

მადნის მსხვერვის, დაცლის, ჩატვირთვის, ტრანსპორტირების ასევე სანაყაროზე ნარჩენის გატანის დროს გამოიყოფა არაორგანული მტვერი, მათ შორის მანგანუმის ნაერთები.

შედულების უბანზე წარმოიქმნება რკინის ოქსიდები, მანგანუმის ნაერთები, აირადი ფტორიდები, სუსტი ფტორიდები, არაორგანული მტვერი. მექანიკურ საამქროში წარმოიქმნება რკინის ოქსიდები.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად ადამიანთა ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის მიზნით დგინდება ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ). ისინი მტკიცდება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ და ერთიანია საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის.

სადღესოდ სახელმძღვანელოდ გამოიყენება მაქსიმალური-ერთჯერადი და საშუალო-დღე-ღამური ზდკ დასახლებული ადგილებისათვის და ზდკ სამუშაო ზონისათვის.

იმ ნივთიერებებისათვის, რომელთათვისაც ჯერ-ჯერობით არ არის განსაზღვრული ზდკ დასახლებული პუნქტებისათვის გამოყენებულია

შესაბამისი საორიენტაციო უსაფრთხო ზემოქმედების დონე (სუზდ- ნორმატივები).

ზდკ-ს ჩამონათვალი და მათი შესაბამისი მნიშვნელობები რეგულარულად ივსება, ზუსტდება და გამოიცემა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-ს ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულია ჰაერში გაფრქვეულ ძირითად დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩამონათვალი და მათი კონცენტრაციები საცხოვრებელი ზონების საზღვრებზე. ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ანგარიშში კეთდება დასკვნა, რომ საშტატო რეჟიმში ფონური დაბინძურების გათვალისწინებით დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაანგარიშებული მაქსიმალური კონცენტრაციები არ გადააჭარბებს ნორმებით დადგენილ შესაბამის მაჩვენებლებს უახლოესი საცხოვრებელი ზონის მიმართ.

ამრიგად, საწარმოს ფუნქციონირებამ საშტატო რეჟიმში არ უნდა გამოიწვიოს მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესება. გაფრქვევები საშტატო რეჟიმში, შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები.

მიუხედავად ამისა, ამავე ანგარიშში მოყვანილი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა გეგმაში მოცემულია რეკომენდაცია - შპს „ჯორჯიან მანგანუმი“-ს ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მტვრის დონეების აქტიური შემცირება მანქანების მოძრაობის სიჩქარის შემცირების, გზების მორწყვის ან მტვრის შემამცირებელი სხვა საშუალებებით. ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ტექნიკა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს.

**2.3 ნიადაგის და გრუნტის დაზიანება ან ღაბინაშრაბა**

ნიადაგის და გრუნტის დაზიანება ან დაბინძურება მოსალოდნელია კარიერის გადახსნის სამუშაოების შესრულების პროცესში, ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში, მათი შენახვისა და სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამართვის დროს, საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში.



კარიერის გადახსნის სამუშაოების შესრულების დროს ხდება მადნის ფენის ზედაპირზე არსებული ფუჭი ქანების მოხსნა. ამ დროს ადგილი აქვს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანებას.

„ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, ზემოქმედების მინიმუმაციის მიზნით, აუცილებელია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის წინასწარ მოხსნა, დადგენილი წესით დასაწყობება და კარიერის გარკვეული მოწვევით ათვისების შემდგომ, ტერიტორიის რეკულტივაციისათვის გამოყენება.

კარიერების დამუშავების პროცესში მიმდებარე ტერიტორიებზე შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს მძიმე ტექნიკის მოძრაობა, რათა არ მოხდეს მიწის დამატებითი დატკეპნა. თხრილების ფერდობების ჩამოშლის პრობლემა უნდა გადაიჭრას ქანობების დატერასების და ხის დროებითი ფარების მოწყობის გზით. ყველა კარიერზე უნდა მოეწყოს მოხრეშილი მისასვლელი გზები.

ნავთობპროდუქტების დაღვრის რისკის მინიმუმაციის მიზნით სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექნიკური მომსახურება უნდა მოხდეს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. ასეთი ადგილები უნდა დაიფაროს ღორღის ფენით, რათა დაღვრის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი გატანა და გასუფთავება. სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის მომსახურების უზნებზე აუცილებელია მოეწყოს ატმოსფერული წყლების შეგროვების და გაწმენდის სისტემები.

ნიადაგის დაცვასთან დაკავშირებით შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანუმს“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დაკისრებული ვალდებულება:

- კარიერების დამუშავებისათვის, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მომზადდეს რეკულტივაციის პროექტები და უზრუნველყოფილ იქნეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

**2.4 ლანდშაფტის ცვლილება**

მნიშვნელოვანი ლანდშაფტური ცვლილებებია მოსალოდნელი მანგანუმის მადნის კარიერების დამუშავების და აგლომერატის განთავსების ადგილებზე.

მანგანუმის მადნის კარიერებზე მოპოვებითი სამუშაოების დამთავრების შემდგომ არ არის ჩატარებული რეკულტივაციის სამუშაოები და არ ხდება ბუნებრივი ლანდშაფტის პირვანდელ ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა.

ლანდშაფტური ცვლილებების შერბილების მიზნით საჭიროა დამუშავებულ იქნეს დამუშავებული კარიერების რეკულტივაციის პროექტები, სადაც გათვალისწინებული იქნება წინასწარ დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემოტანის, მცენარეული საფარის აღდგენის და სხვა სამუშაოები.

ლანდშაფტის მნიშვნელოვან ვიზუალურ ცვლილებებს იწვევს მიწისქვეშა სამთო სამუშაოები, რაც დაკავშირებულია მეწყრული მოვლენების განვითარებასთან და სხვა საშიში გეოდინამიკური პროცესების წარმოქმნასთან.

ლანდშაფტის მნიშვნელოვან ვიზუალურ ცვლილებებს ასევე ადგილი აქვს აგლოპროდუქტის დასაწყობების ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია ასეულ ათასობით ტონა პროდუქტი და შექმნილია ხელოვნური, ადგილობრივი ლანდშაფტისაგან სრულიად განსხვავებული ხედი.

**2.5 საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი**

ჭიათურისა და საჩხერის რაიონების ტერიტორიაზე განვითარებული მეწყრული პროცესების გააქტიურება ძირითადად დაკავშირებულია მანგანუმის საბადოს დამუშავებასთან. საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება შესაძლებელია მოხდეს როგორც კარიერების დამუშავების პროცესში, ასევე სამუშაოების დამთავრების შემდგომ, რეკულტივაციის ჩატარებლობის შემთხვევაში. დამახასიათებელია ისეთი საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება, როგორცაა ნიადაგის ეროზია და მეწყერი.

**2.6 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე**

მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელია მანგანუმის მადნის კარიერების დამუშავების პროცესში, კარიერის ზედა ფენების გადახსნის სამუშაოების შესრულების დროს. ზემოქმედების შერბილების მიზნით დამუშავებული კარიერების რეკულტივაციის პროექტებში გათვალისწინებული უნდა იქნეს გამწვანების სამუშაოების შესრულება.

**2.7 ზემოქმედება ცხოველთა საფარზე**

აღინიშნება გარკვეული ნეგატიური ზემოქმედება იქტიოფაუნაზე. ეს ხდება კომბინატის საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის გარეშე ჩაშვებით



მდ. ყვირილას სიმღვრივის მკვეთრი მატების გამო.

**2.8 ნარჩენები**

საწარმოო ნარჩენებიდან მოსალოდნელია ძირითადად მანგანუმის მადნის გამდიდრების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები, კერძოდ აგლოპროდუქტი და შლამი. შლამი წარმოიქმნება ყველა ფაბრიკაში და როგორც უკვე ავღნიშნეთ, გამწმენდი სისტემების არარსებობის გამო, ჩამდინარე წყლებთან ერთად მთლიანად ჩაედინება მდ. ყვირილაში.

აგლოპროდუქტის წარმოქმნა ხდება მხოლოდ ფაბრიკა “ცდგ”-ში სადაც ხდება ყველა ფაბრიკის შუალედური პროდუქტების გამდიდრება. წლის განმავლობაში აგლომერატის სანაყაროზე საწყობდება დაახლოებით 66 100 ტონა აგლოპროდუქტი.

წარმოების პროცესში წარმოიქმნება ასევე სხვა ნარჩენები: სპეციალური ტექნიკის და ავტოტრანსპორტის ნამუშევარი ზეთები და სხვა ნავთობპროდუქტების ნარჩენები; ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორები, ავტომანქანების და სხვა ტექნიკის საბურავები, პოლიმერული ნარჩენები, ავტომანქანების და სპეცტექნიკის ზეთის ფილტრები და განავთობიანებული მყარი ნარჩენები.

ვადაგასული აკუმულატორების, პოლიმერული ნარჩენების და გამოყენებული საბურავების კომბინატის ტერიტორიიდან გატანა ხდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების მიერ (მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები). ნავთობით დაბინძურებული მყარი ნარჩენების და ზეთის ფილტრების უტილიზაციის საკითხი კი არ არის გადაწყვეტილი და მათი განთავსება ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

ფაბრიკების ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ქალაქის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ.

არცერთ გამამდიდრებელ ფაბრიკაში არ არის დანერგილი ნარჩენების განცალკევებული შეგროვება, ანუ საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ცალ-ცალკე მოთავსება. ნარჩენების შესაგროვებელი არსებული ბუნკერები არასაკმარისი და ტექნიკურად გაუმართავია (არ გააჩნიათ თავსახური, არ აქვთ მარკირება, ბუნკერების ნაწილი დაზიანებულია). ფაბრიკა „25“-ის ნარჩენები იყრებოდა ახლომდებარე ბუნებრივ ხევში.

ნარჩენებთან დაკავშირებით შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანუმს“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დაკისრებული აქვს შემდეგი ვალდებულებები:

- ☑ მომზადდეს ნარჩენების მართვის გეგმა და მოხდეს მისი შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;
- ☑ კომბინატის საწარმოო ობიექტებზე დანერგილ იქნეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, რისთვისაც ყველა ობიექტი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო მარკირების და ფერის, საჭირო რაოდენობის ჰერმეტიკულსახურავიანი კონტეინერებით;
- ☑ საწარმოში ნავთობპროდუქტების ნარჩენების, გამოყენებული ზეთების და ნავთობით დაბინძურებული ნარჩენების, ან სხვა სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად გამოყოფილ უნდა იქნეს სპეციალური სათავსი. ნარჩენების კომბინატის ტერიტორიიდან გატანა და მუდმივი განთავსება უნდა მოხდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ.

**2.9 ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დაკისრებული სხვა ვალდებულებები**

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისას დაეკისრა სხვა ვალდებულებებიც, რომლებიც ჩამოთვლილია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში:

- ☑ უსაფრთხოების, ჯანდაცვის და გარემოს დაცვის მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმება;
- ☑ კომბინატის მიმდინარე საქმიანობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა 2009 წლის და 2009-2015 წლების პერსპექტიული გეგმების მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან შეთანხმება;
- ☑ კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმება;

<sup>4</sup> გეგმა მომზადდა 2010 წელს.  
<sup>5</sup> გეგმები მომზადდა 2009 წელს.





- ☑ უზრუნველყოფილ იქნეს კომბინატის ბალანსზე არსებული ტრანსფორმატორების სატრანსფორმატორო ზეთებში პოლიქლორირებული ბიფენოლების შემცველობის კონტროლი და ინფორმაცია წარდგენილ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში;
- ☑ კომბინატის ყველა საწარმოო ობიექტზე მომსახურე პერსონალის საყოფაცხოვრებო სათავსების სარემონტო სამუშაოების ჩატარება და საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფა;
- ☑ მომსახურე პერსონალის მომარაგება სამი ცვლა სპეც-ტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- ☑ მომსახურე პერსონალისთვის პროფესიული უსაფრთხოების და გარემოსდაცვით საკითხებზე სწავლების და ტესტირების ჩატარება 6 თვეში ერთხელ;
- ☑ ყველა სამუშაო ადგილზე პროფესიული უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;
- ☑ მომსახურე პერსონალის მიერ სპეც-ტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესების დაცვაზე სისტემატიური ზედამხედველობა;
- ☑ მომსახურე პერსონალის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ორგანიზაცია;
- ☑ სამუშაო ადგილებზე სათანადო მიკროკლიმატის უზრუნველყოფის მიზნით საწარმოო კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და სავენტილაციო და ადგილობრივი გათბობის სისტემების მოწყობა;
- ☑ საწარმოო კორპუსებში არსებული მზრუნავი დანადგარების დამკავი შემოღობვის მოწყობა და სათანადო გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;
- ☑ ფაბრიკების „ამგ“-ს და „ცმგ-2“-ის ლაბორატორიებში არსებული ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის მეთოდზე დამყარებული, მანგანუმის ავტომატური კონცენტრატომი „ყვირილა“-ს კომბინატის ტერიტორიიდან გატანა ან გაუვნებლობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული პირობების სრული დაცვით;
- ☑ უზრუნველყოფილ იქნეს ტექნიკური წყალმომარაგების სათაო ნაგებობებზე არსებული სალექარების გაწმენდა და ნალექის განთავსების საკითხი შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.

### 3. მანგანუმის მოპოვების ჯეგავლენა ჯანმრთელობაზე

მანგანუმის იონები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ უმაღლეს ორგანიზმებში, მაგრამ დიდი რაოდენობებით მანგანუმმა შეიძლება გამოიწვიოს მოწამლვა და შეუქცევადი ნევროლოგიური დაზიანება ძუძუმწოვრებში.

მანგანუმის მტერისა და ორთქლის ზემოქმედება, თუნდაც მცირე დროის განმავლობაში, საზიანოა ჯანმრთელობისათვის. მანგანუმი განსაკუთრებულ რისკს წარმოადგენს ბავშვებისთვის. მანგანუმით მოწამლვა უკავშირდება მოტორული ფუნქციის დარღვევას და ნერვულ დარღვევებს.

ნეიროდეგენერაციის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც პარკინსონის დაავადების მსგავსია და “მანგანიზმის” სახელწოდებითაა ცნობილი, ჯერ კიდევ ადრეული მე-19 საუკუნიდან უკავშირდებენ საბადოზე მომუშავეებსა და მადნის გადამამუშავებლებზე მანგანუმის ზეგავლენას.

წარმოების პირობებში მანგანუმი ორგანიზმში ძირითადად აეროზოლის სახით სასუნთქი სისტემებიდან, ხოლო მცირე რაოდენობით კუჭ-ნაწლავის ტრაქტით ხვდება. შესაძლებელია მისი შეღწევა ორგანიზმში დაუზიანებელი კანიდანაც. დიდი რაოდენობით მანგანუმის მოხვედრის საშიშროება არსებობს მანგანუმის მოპოვების, გამდიდრების და მეტალურგიულ ქარხანაში გადამამუშავების დროს.

თავად მანგანუმის მავნე ზემოქმედების გარდა, მის მოპოვებას თან სდევს ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი სხვა ფაქტორებიც, როგორცაა მტვერი, ხმაური, ვიბრაცია და სხვა.

#### 3.1. მანგანუმის მოპოვებაზე მომუშავეთა შრომის პირობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა

ოფიციალური მონაცემები „ჭიათურმან-განუმში“ მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამუშაო პირობების შესახებ ეყრდნობა კვლევას, რომელიც ჩატარდა 2004-2005 წლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ს/ს ნ. მახვილამის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის მიერ. კვლევა განხორციელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში „მავნე საწარმოო



ფაქტორებთან კონტაქტში მყოფ მომუშავეთა შორის პროფესიული პათოლოგიის პრევენცია".

ინსტიტუტმა შეისწავლა მადარობისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მომუშავეთა სამუშაო გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გამამდიდრებელი ფაბრიკების ჰიგიენური მდგომარეობის შესაფასებლად ყველა გამოკვლევა ჩატარდა უშუალოდ შრომითი პროცესის დროს. შესწავლილ იქნა: საწარმოო ხმაურის ექვივალენტური დონე, სამუშაო ადგილზე ხმაურის, საწარმოო მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო განათებულობის დონეები, ზოგადად სამუშაო გარემო და შრომითი პროცესის მავნე ფაქტორები.

შესწავლილ იქნა მადარობსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე მათი ავადმყოფობის სიხშირე ბოლო სამი წლის განმავლობაში შრომისუუნარობის დღეების მიხედვით.

კვლევის შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება :

**3.1.1. შრომის პირობები**

მეტეოპირობები

კვლევის პროცესში დადგინდა, რომ, მადარობებში წლის ციკ პერიოდში ძირითად სამუშაო ადგილებზე ჰაერის ტემპერატურის მინიმალური მაჩვენებლები შედარებით დაბალი იყო, ხოლო სხვა მაჩვენებლები შეესაბამებოდა სანიტარულ ნორმებს, ისევე, როგორც ჰაერის ტემპერატურის მაჩვენებლები წლის თბილ პერიოდში. ფარდობითი ტენიანობის პარამეტრები ორივე შემთხვევაში შედარებით მაღალი იყო, რაც აიხსნება ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებით, კერძოდ მაღლის მაღალი ტენიანობით, აგრეთვე მადარობი მიწისქვეშა წყლების სიჭარბითა და არასრულყოფილი ვენტილაციით, რაც შემთხვევაში კი, მისი არარსებობითაც.

გამამდიდრებელ ფაბრიკებში ძირითად უბნებზე მიკროკლიმატის მაჩვენებლები არ შეესაბამებოდა სანიტარიულ ნორმებს. კერძოდ, აღინიშნა ჰაერის ტემპერატურის დაბალი საშუალო მაჩვენებლები, ჰაერის მოძრაობის შედარებით დაბალი სიჩქარე, ხოლო ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებლები აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. სანიტარიულ ნორმებთან შეუსაბამობა აიხსნება ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებით, რაც შემთხვევებში, ვენტილაციის არარსებობით ან მისი არაეფექტური მუშაობით, აგრეთვე შენობის არასაკმარისად იზოლაციით გარემოდან, კერძოდ, კარებისა და ფანჯრების არარსებობით, რის გამოც გარეშე მეტეოროლოგიური პირობები

ადვილად ზემოქმედებს საამქროების მიკროკლიმატზე.

განათება  
სამუშაო ადგილების საწარმოო განათება (ბუნებრივი, შერეული) ხშირ შემთხვევაში არაადამაკმაყოფილებელი იყო.

ხმაური  
კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილი მადარობის და გამამდიდრებელი ფაბრიკების თითქმის ყველა ძირითადი პროფესიის მუშების სამუშაო ადგილებზე, არსებული დანადგარების მიერ გენერირებული ხმაური აჭარბებდა დასაშვებ სანიტარიულ ნორმას 80 დეციბელს 2-22 დბ-ით. ხმაურის მაქსიმალური დონე – 100-102დბ, რაც 20-22 დეციბელით აღემატება ნორმას, აღინიშნა ერთ-ერთ გამამდიდრებელ საწარმოში ჰაერმბერის უბნებზე, ჰაერმბერის მემანქანის სამუშაო ადგილებზე.

ხმაურის დონე მადარობებში მერყეობდა 84-102 დეციბელის ფარგლებში, რაც 4-22 დბ-ით აჭარბებს დადგენილ ნორმას. მადარობებში მაქსიმალური ხმაურის დონე - 95-100 დბ, დაფიქსირდა სკრეპერის სამუშაო ადგილას.

მანგანუმის ნაერთებით ჰაერის დაბინძურება  
ს/ს „ჭიათურმანგანუმის“, დარკვეთის მადაროსა და გამამდიდრებელი ფაბრიკის („ნოფი“), მღვიმევის N29 და წერეთლის სახელობის მადაროს „პეროფი“-ს გამამდიდრებელი ფაბრიკების სამუშაო ზონის ჰაერის გამოკვლევებმა მანგანუმის ნაერთების შემცველობაზე აჩვენა, რომ ყველგან, სადაც მუშებს კონტაქტი აქვთ მშრალ მადანთან, სამუშაო ზონის ჰაერი დაბინძურებულია მანგანუმშემცველი მტვრით და მასში მანგანუმის ნაერთების კონცენტრაცია რამდენჯერმე აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. ის განსაკუთრებით მაღალია მკვებავების მემანქანების, ბადიების, ბუნკერის გამგორებელ-ჩამჩხების, კონვეიერის ლენტის მემანქანების სამუშაო ადგილებზე, I დამსხვრევის მსხვრევეანასთან.

სამუშაო ზონის ჰაერის დამტვერიანება ამ სამუშაო ადგილებზე განპირობებულია ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებით, მაგრამ ასეთი მაღალი კონცენტრაციის მიზეზია მოძველებული დანადგარები და სისტემები, მათი არაჰერმეტიულობა, სავენტილაციო სისტემების არარსებობა ან მწყობრიდან გამოსვლა. ამის ფონზე მუშები არ არიან უზრუნველყოფილი მანგანუმშემცველი მტვრისგან სასუნთქი გზების დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით.



ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, დასკვნაში აღნიშნულია, რომ გამოკვლეული მადარობები და გამამდიდრებელი ფაბრიკები ხასიათდება მტვერწარმოქმნით, ტოქსიკური გაზების (ნახშირჟანგი, აზოტის ჟანგულები) გამოყოფით, ვიბრაციის ზემოქმედებით და მძიმე შრომით.

ამრიგად, გამოკვლეული მადარობების და გამამდიდრებელი ფაბრიკების საწარმოო უბნებზე წარმოიქმნება არახელსაყრელ საწარმოო პროფესიულ ფაქტორთა ისეთი კომპლექსი, რომელსაც შეუძლია მავნე გავლენა მოახდინოს იქ მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

შრომის ჰიგიენური კლასიფიკაციის მიხედვით, ფაბრიკების მუშების შრომა საშუალო სიმძიმისაა, ხოლო მადაროს მუშების - მზურღავების, მესამაგრების, სკრეპერის მემანქანების, მტვირთავების შრომა, ძლიერ მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება.

**3.1.2. მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა**

კვლევის პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა 700 მუშა მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობა. გამოკვლეულთა უმეტესობა (71,85%) იყო ხანდაზმული ასაკის (40-50 და მეტი), რომელთა უმრავლესობას (64%) მანგანუმთან მუშაობის ხანგრძლივი და უწყვეტი სტაჟი ჰქონდა. მათ შორის დიდი ნაწილი (73%) მიწის ქვეშ მომუშავეები იყვნენ. გამოკვლეულთა 56,85% აღმოჩნდა ჯანმრთელი, ხოლო 43,14% - დაავადებული.

მეორე ეტაპზე შესწავლილი იქნა 600 მომუშავეს ჯანმრთელობის მდგომარეობა. გამოკვლეულთა უმეტესობა (76,4%) იყო ხანდაზმული ასაკის (40-50 და მეტი), რომელთა უმრავლესობას (62,9%) მანგანუმთან მუშაობის ხანგრძლივი და უწყვეტი სტაჟი ჰქონდა. მათ შორის 53,9% მიწის ზემოთ მომუშავე, ხოლო 27,6% მიწის ქვეშ მომუშავე სხვადასხვა პროფესიის მუშა-მოსამსახურეები იყვნენ. გამოკვლეულთა 49,7% ჯანმრთელი აღმოჩნდა, ხოლო 50,3% - დაავადებული.

გამოვლენილ დაავადებებს შორის, რომლებიც შესაძლოა კავშირში იყვნენ პროფესიასთან და სტაჟთან, აღსანიშნავია შემდეგი:

წამყვანი ადგილი უჭირავს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს (კვლევის პირველ ეტაპზე 35,42%, მეორეზე - 49,3%), რომელთა რაოდენობა მატულობს ასაკისა და სტაჟის მატებასთან ერთად.

მეორე ადგილზეა სმენის ორგანოს დაავადებები (17,57%), წარმოდგენილი ოტიტისა და სმენის

ნევრიტების სახით, ისინი უკავშირდება ხმაურს, ტენიანობას, სიცივეს.

ნერვული სისტემის და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებები გამოვლინდა ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაში ცვლილებებით (პირველი კვლევა - 16,14%, მეორე - 25,5%) და აღნიშნებოდათ როგორც მიწისქვეშ მომუშავეებს, ისე მიწისზედა სამუშაოების შემსრულებლებს (კვლევის ანგარიშის მიხედვით ეს შეიძლება უკავშირდებოდეს, პროფესიული დაავადების განვითარების თავიდან აცილების მიზნით დაავადებულთა ამოყვანას მიწისქვეშა სამუშაოებიდან მიწის ზევით). კვლევის დასკვნის თანახმად, ეს დაავადებები შეიძლება ჩაითვალოს პროფესიული დაავადების განვითარების წინაპირობად.

სასუნთქი სისტემის დაავადებები (ქრონიკული ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, ქრონიკული პნევმონია) აღმოაჩნდა პირველ ეტაპზე გამოკვლეულთა 11,85%-ს და მეორე ეტაპზე გამოკვლეულთა 5,6%-ს. ის ხშირად გვხვდება მიწის ქვეშ მომუშავეთა შორის და პირდაპირ კავშირშია სტაჟთან.

ყურადღებას იპყრობს ასევე ზედა სასუნთქი გზების დაავადებები, როგორცაა ლარინგიტი და ფარინგიტი.

დერმატოლოგიური გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ კანის სოკოვანი, ჩირქმბადი და სხვა დაავადებების დიდი რაოდენობა გამოწვეული იყო დამტვერიანების მაღალი დონით და ფიზიკური შრომის დროს გამოყოფილი ოფლით. კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საჭიროა პრევენციული ღონისძიებების სისტემატიური და განუხრელი განხორციელება (პირადი ჰიგიენის დაცვა, ინვენტარის 1-2% ფორმალინის ხსნარით დამუშავება და სხვ.).

ჩატარებული ბიოქიმიური გამოკვლევების შედეგად, რომლის დროსაც შესწავლილი იყო სისხლში და შარდში მანგანუმის შემცველობა, გამოვლინდა, რომ მანგანუმის მომატებული რაოდენობა სისხლში აღმოაჩნდა მომუშავეთა 4,4%-ს, ხოლო შარდში - 17,4%-ს. ამასთან, მანგანუმის რაოდენობის მომატება სისხლში პირდაპირ კავშირშია სტაჟთან, ხოლო მანგანუმის რაოდენობის მატება შარდში განსაკუთრებულ კავშირზე არ მიგვითითებს. თუმცა, ეს არ არის იმის მაჩვენებელი, რომ ყველა ამ მუშას შეიძლება განუვითარდეს მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაცია. კლინიკური ნიშნების გარეშე მანგანუმის რაოდენობის მომატება სისხლსა და





შარდში არ იძლევა მანგანიუმის დიაგნოზის დასმის უფლებას.

კვლევაში აღნიშნულია, რომ ავადობის მაჩვენებლების მაღალი დონე, როგორც შემთხვევათა რიცხვის, ასევე დროებითი შრომისუნარო დღეების მიხედვით, განპირობებულია მომუშავეთა ჯანმრთელობაზე არახელსაყრელი საწარმო-პროფესიული ფაქტორების ინტენსიური ზეგავლენით. რასაც ასევე ადასტურებს ავადობის მაჩვენებლების მატება ასაკისა და სტაჟის ზრდასთან ერთად.

**3.1.3. რეკომენდაციები მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თავიდან ასაცილებლად**

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინსტიტუტის მიერ რეკომენდირებულია შემდეგი პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- ☑ აუცილებელია გამოირიცხოს გარემოს მეორადი დაბინძურება მანგანუმის მადნის მტვერით (სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ქ. ჭიათურაში დამკვიდრდა ღია მანქანებით მანგანუმის მადნის გადაზიდვა, რაც გარემოს ინტენსიური მეორადი დაბინძურების წყაროა და აუცილებლად უნდა აიკრძალოს).
- ☑ მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრების ოპერაციების ჩასატარებლად აუცილებელია შეკეთდეს სატვირთო საბაგირო გზები, უსაფრთხოების ზომების მკაცრი დაცვით.
- ☑ მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოებზე დაკავებული პირები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებით მავნე ზეგავლენების (ტოქსიკური მანგანუმი, ხმაური, ვიბრაცია, არასასურველი მიკროკლიმატი, არასაკმარისი განათება) გათვალისწინებით, ასევე სასურველია მუშების უზრუნველყოფა ცხელი საკვებით.
- ☑ სამუშაო ზონის ჰაერში გამოყოფილი მტვრის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით აუცილებელია მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრების ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულ იქნეს მტვრის საწინააღმდეგო „ლეპესტოკის“ ტიპის რესპირატორები (მათი გამოყენების ვადის და ფილტრების შეცვლის მკაცრი კონტროლით).
- ☑ მომუშავეთა ჯანმრთელობაზე საწარმოო ხმაურის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ხმაურსაწინააღმდეგო „ბერუმის“ ტიპის საფენები (დამზადებული სპეციალური საფილტრე მასალიდან), ასევე ხმაურსაწინააღმდეგო საყურისები და სხვა, რომლებიც ამცირებენ ხმაურის დონეს 7-8 დბ-ით ხმაურის სიხშირეთა 250-500ჰც

მასხაიათებლებზე, 12 დბ-ით 1000ჰც სიხშირეზე.

- ☑ მავნე და საშიშ პირობებში მომუშავე პირებს უნდა უტარდებოდეთ აუცილებელი პერიოდული სამედიცინო გასინჯვები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული ინვალიდობის თავიდან აცილების მიზნით.

**3.2. მანგანუმის მიერ გამოწვეული ძირითადი ლაზარაქები**

მანგანუმი არ იწვევს მწვავე მოწამვლას. ის წარმოადგენს კუმულაციური (დაგროვებით) მოქმედების შხამს და დროის განმავლობაში ორგანიზმზე ზემოქმედებისას ახასიათებს მრავალმხრივი გამოვლენა. როგორც სუსტი ალერგენი, ის იწვევს ბრონქული ასთმის და ეგზემის განვითარებას, მტვრის ხანგრძლივი შესუნთქვის შედეგად კი, კეთილთვისებიანად მიმდინარე პნევმოკონიოზს - მანგანოკონიოზს, ან კონიოგენურ ბრონქიტს. მანგანუმის შენაერთების ორგანიზმზე მოქმედებისას ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, რომელიც წარმოადგენს მანგანუმით ქრონიკულ პროფესიულ ინტოქსიკაციას, ანუ მანგანიზმს<sup>6</sup>.

მანგანუმის წარმოების მუშებში პროფესიულ დაავადებებს შორის ქრონიკულ მტვრისმიერ, ანუ კონიოგენურ ბრონქიტს სიხშირის მიხედვით მეორე ადგილი უკავია. იგი იწყება შედარებით გვიან (მუშაობის სტაჟი 10-15 წელი და მეტი). იფარგლება I-II სტადიით და ხშირად მიმდინარეობს ასთმოიდური კომპონენტით.

მანგანუმისმიერი კონიოგენური ბრონქიტი უფრო ხშირია იმ პირებში, რომლებიც მუშაობენ მანგანუმის მოპოვებაზე, სადაც დამტვერიანება მხოლოდ 1,5-2-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

დღეისათვის აღიარებულია აგრეთვე, რომ მანგანუმი ალერგენს წარმოადგენს და საკმაოდ ხშირად იწვევს ბრონქული ასთმის, ან ალერგიული წარმოშობის ასთმური ბრონქიტის განვითარებას. ალერგიულ თვისებებს მანგანუმი ავლენს უპირატესად მცირე კონცენტრაციით

<sup>6</sup> მანგანუმისა და მისი შენაერთების ტოქსიური ეფექტი, ისევე, როგორც პნევმოკონიოზი, ე.წ. ქიმიური ბრონქიტი, ასთმა, ვიბრაციის ეფექტი შეტანილია პროფესიულ დაავადებათა ნუსხაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით N216/ნ (2007 წლის 13 ივლისი). ამავე ბრძანებით დამტკიცებულია იმ პროფესიული საქმიანობის და მავნე ფაქტორების ჩამონათვალი, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი. აქაც რამდენიმე ადგილას სხვადასხვა დაავადებებთან დაკავშირებით ნახსენებია მანგანუმი, ასევე საწარმოო მტვერი და ვიბრაციის ზეგავლენა.



მოქმედებისას (ჰიგიენური ნორმებით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეზეც კი).

მანგანუმის წარმოების მუშებში ბრონქული ასთმის კლინიკურ გამოვლინებას წინ უსწრებს გარკვეული დრო (5-10 წელი). დასაწყისში შეტევები არაინტენსიურია და იშვიათი - ვლინდება გამძლელებული სუნთქვის და ხველების ფონზე, რომელიც, რაც შემთხვევაში, წინ უსწრებს მოხრჩობის პირველი შეტევების განვითარებას, ზოგჯერ კი, დამაკმაყოფილებელი საერთო მდგომარეობის ფონზე პირველი შეტევა აღმოცენდება უეცრად.

ბრონქული ასთმა მსუბუქი, ან საშუალო სიმძიმის ფორმით ვლინდება და იშვიათად რთულდება. ახასიათებს კეთილთვისებიანი მიმდინარეობა, დროული დიაგნოსტიკისა და მანგანუმთან კონტაქტის შეწყვეტისას - კლინიკური გამოჯანმრთელება.

ხშირ შემთხვევებში, ბრონქული ასთმა ერწყმის სხვა ალერგიულ დაავადებებს - ეგზემას და ალერგიულ დერმატიტს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შედარებით იშვიათად გვხვდება პნევმოკონიოზის - მანგანოკონიოზის შემთხვევები და ისიც მხოლოდ იმ მუშებში, რომელთაც აქვთ მანგანუმის მტვერთან ხანგრძლივი (20-30 წლის) კონტაქტი.

მანგანოკონიოზი ხასიათდება ნელი და კეთილთვისებიანი მიმდინარეობით, კლინიკური გამოვლინების სიღარიბით, იფარგლება II სტადიით, ძირითადად, ფილტვების ვენტილაციური ფუნქციის ცვლილებების გარეშე. იშვიათად რთულდება ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზით. საკმაოდ ხშირია (30%) ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური და ფილტვების ორგანული დაზიანების ერთდროული შერწყმა.

ამრიგად, მანგანუმის წარმოების მუშებში გვხვდება შემდეგი პროფესიული დაავადებები: მანგანუმით ქრონიკული პროფესიული ინტოქსიკაცია - მანგანიზმი, კონიოგენური ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, მანგანოკონიოზი, ეგზემა და ალერგიული დერმატიტი. მათ შორის მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაციის და ბრონქული ასთმის ადრეულ დიაგნოსტიკას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ დროულად დაწყებული მკურნალობა და მანგანუმთან ავადმყოფობის კონტაქტის შეწყვეტა იძლევა ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის გარანტიას.

**3.3 პროფესიული განაჩინებითი სინდრომის ნაიხსანოზი**

გარდა ზემოხსენებულისა, ორგანიზმზე მანგანუმის ზემოქმედებისას, შესაძლოა, განვითარდეს შემდეგი დაავადებები:

- ☑ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგია, რომელიც ხასიათდება უპირატესად გულის კუნთის დისტროფიული ცვლილებებით. ერთ-ერთ ადრეულ მგრძობიარე სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს გულის არემი ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი;
- ☑ აორტის ათეროსკლეროზი;
- ☑ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციური დარღვევები;
- ☑ ღვიძლის ფუნქციური დარღვევები;
- ☑ მხედველობის ორგანოს ფუნქციური დარღვევები;
- ☑ შარდის გამოყოფის ფუნქციის ცვლილება;
- ☑ სქესობრივი აქტივობისა და განაყოფიერების უნარის დათრგუნვა
- ☑ ცვლილებები როგორც I, ასევე II თაობის მემკვიდრეობაში, რაც გამოიხატება მკვდარი და განუვითარებელი ემბრიონების რიცხვის გაზრდით, შთამომავლობის სიცოცხლისუნარიანობის შემცირებით და სქესობრივი მომწიფების შეფერხებით.

ეს დარღვევები უფრო ხშირად აღინიშნება იმ მუშებს შორის, რომლებიც პროფესიულ კონტაქტში არიან ერთდროულად მანგანუმსა და სხვადასხვა ქიმიურ და ფიზიკურ ფაქტორებთან. ამ კლინიკურ-ფუნქციურ დარღვევებს და ცვლილებებს იხილავენ არა როგორც პროფესიულ პათოლოგიას, არამედ როგორც პროფესიული განპირობებულ სინდრომს.

**3.4 მანგანუმისა და ვიბრაციის ერთობლივი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე**

მანგანუმის წარმოებაში მომუშავენი იმყოფებიან არამარტო მანგანუმის მტვრის ზემოქმედების ქვეშ, მათზე ასევე მოქმედებს ლოკალური ვიბრაციაც. ეს განაპირობებს ამ პირებში პროფესიული დაავადებების - ვიბრაციული დაავადების და მანგანუმით ინტოქსიკაციის თანაარსებობას ანუ ვიბრომანგანიზმს.

ვიბრაცია თავისი ბუნებით წარმოადგენს მექანიკურ რხევით მოძრაობას, რომელიც გარკვეული პერიოდულობით მეორდება. მიაღწევს რა ადამიანის ორგანიზმის რაიმე ნაწილს, ვიბრაცია მისი სიხშირის, რხევის წყაროს, კონტაქტის ფართობის და სხვ. გათვალისწინებით შეიძლება გავრცელდეს როგორც მთელ სხეულზე - ზოგადი ვიბრაცია, ასევე ორგანიზმის ცალკეულ უბანზე - ლოკალური ვიბრაცია.

ლოკალური ვიბრაციის მოქმედებისას ადამიანის



სხეულის რხევა ხდება ვიბრაციის ზემო კიდურებიდან გადაცემის გზით. ვიბრაციის ასეთი ფორმა უფრო ხშირია დარტყმითი ან ბრუნვითი მოქმედების ხელის მექანიზებულ იარაღებთან მომუშავე პირებში. ორგანიზმზე ვიბრაციის ხანგრძლივი მოქმედება იწვევს ვიბრაციულ დაავადებას - პროფესიული დაავადების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და მიმედ მიმდინარე ფორმას.

ვიბრაციული დაავადების კლინიკური სურათი დასაწყისში ვლინდება ნერვული და სისხლძარღვოვანი სისტემების დაზიანებით, შემდეგ პროცესი ვრცელდება საყრდენ-მამოძრავებელ აპარატზე, თითქმის ყველა ორგანოსა და სისტემაზე. დაავადების პროგრესირებისას ვიბრაციული მგრძობელობის დაქვეითების პარალელურად ირღვევა ორგანიზმის ტკივილის, ტაქტილური (შეხებითი) და ტემპერატურული მგრძობელობა. არსებულ სისხლძარღვოვან ცვლილებებს ახასიათებს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ქრონიკული უკმარისობა.

სამწუხაროდ, ვიბრაციის და მანგანუმით ინტოქსიკაციის ზეგავლენა ორგანიზმზე არა უბრალოდ ემატება, არამედ აძლიერებს ერთმანეთს, რაც იწვევს პროფესიული დაავადებების (ვიბრაციული დაავადება და მანგანუმით ინტოქსიკაცია) უფრო მიმედ მიმდინარეობას ვიდრე ეს აღინიშნებოდა ცალკეული ფაქტორების იზოლირებული მოქმედებისას.

დაავადებულებს აღენიშნებათ ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის ფუნქციური და ორგანული დაზიანებისთვის დამახასიათებელი ჩივილები, როგორცაა საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, ტკივილები ზემო და ქვემო კიდურებში მუშაობის შემდეგ და მოსვენებულ მდგომარეობაში, კიდურების გაცივება, მგრძობელობის დაქვეითება, ოფლიანობა, თეთრი ლაქების გაჩენა და თითების გათეთრება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ადვილად აგზნება, ძილიანობა, სიარულის გამძლეობა, კიდურების კანკალი, მეტყველების გაუარესება, მეხსიერების დაქვეითება და სხვა.

ვიბრაციულ დაავადებას და მანგანუმით ინტოქსიკაციას ხშირად თან ერთვის ისეთი დაავადებები, როგორცაა ჰიპერტონული დაავადება (მაღალი წნევა), გულის იშემიური დაავადება, რადიკულიტი, ხერხემლის მალეების გავრცელებული ოსტეოქონდროზი და სხვ. რაც ართულებს სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას.

ვიბრაციისა და მანგანუმით ინტოქსიკაციით გამოწვეული დაავადების თავიდან ასაცილებლად საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდებულია სანიტარიული ზედამხედველობის და სხვა შესაბამისი სამსახურების მეთვალყურეობა: დანადგარების ექსპლუატაციასა და დანერგვაზე კონტროლის და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებისათვის (ბრძოლა დამტვერიანების, ხმაურის, ვიბრაციის, არახელსაყრელი მიკროკლიმატის წინააღმდეგ და სხვ.).

მანგანუმის მოპოვებისას, გადამუშავებისას და გამდიდრებისას გამოყენებული მანქანები, მექანიზმები და დანადგარები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საწარმოო დანადგარები და ტექნოლოგიური პროცესები უნდა იყოს პასპორტიზირებული. დანადგარების ექსპლუატაცია იმ რეჟიმში და პირობებში, რომელიც პასპორტით არაა გათვალისწინებული, აკრძალულია<sup>7</sup>.

სამსხვრეველები და წისქვილები უნდა დაიდგას სხვა უზნებიდან იზოლირებულ სათავსებში, ვიბრო და ხმაურმაიზოლირებულ საძირკველზე. სამსხვრევე-სახარისხებელი მანქანები და მათთან დაკავშირებული მოწყობილობები და მექანიზმები უნდა იყოს დახურული, ხოლო მტვრის გამოყოფის ადგილები – აღჭურვილი გამწოვი ვენტილაციით, გაწოვილი ჰაერის გაწმენდით.<sup>8</sup>

საწარმოო დანადგარების მუშაობამ არ უნდა გამოიწვიოს საწარმოო გარემოში დამატებითი მავნე ფაქტორების წარმოქმნა. საწარმოებში გამოყენებული დანადგარები, რომლებიც გამოსცემენ ვიბრაციას უნდა პასუხობდნენ სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნებს, მათ შორის, ვიბრაციის პარამეტრების მიმართ. ყველა ვიბროსაშიშ პროფესიაზე მომუშავე პირი უფასოდ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეც-ტანსაცმელი, სპეც-ფეხსაცმელი და სხვ.). დაცვის საშუალებების

<sup>7</sup> „ადამიანის ორგანიზმზე ლოკალური ვიბრაციისა და მანგანუმის ერთობლივი მოქმედების პროფილაქტიკა. მეთოდური მითითებები“. დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 18.09.2002 N 263/ნ ბრძანებით.

<sup>8</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 14 აპრილის N78/ნ ბრძანება „მიმედ მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“.





ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტს.

შახტებსა და მადარობებში მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თანამედროვე ტიპის რესპირატორებით და დამატებითი ფილტრებით. ეს უკანასკნელი საჭიროა იმისათვის, რომ მაღალი დამტვერიაუნების პირობებში მუშაობის პროცესში შესაძლებელი იყოს მისი შეცვლა.

საწარმოს ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს სისტემატური კონტროლი ვიბრაციის წარმომქმნელი დანადგარების დროულ გამაფრთხილებელ შეკეთებაზე, ვიბრაციის მახასიათებლების შემდგომი აუცილებელი შემოწმებით. საწარმოში ორგანიზებული უნდა იყოს სპეციალური უბანი, სადაც მოხდება ვიბრაციის წარმომქმნელი დანადგარების შეკეთების შემდგომი გამოცდა. სამუშაო ადგილებზე უნდა ხდებოდეს ვიბრაციის პარამეტრების გაზომვა.

ხმაურისაგან თავდაცვის მიზნით აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ხმაურსაწინააღმდეგო ყურის დამცავები ან საცობები „ბერუში“ სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად.

განათების დონე სამუშაო ადგილებზე არ უნდა იყოს სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ საწარმოო ნორმებზე ნაკლები.

წარმოებაში მომუშავეთათვის აუცილებელია შრომისა და დასვენების რაციონალური რეჟიმის ორგანიზება: ვიბრაციასთან კონტაქტის ჯამური დრო არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო ცვლის 2/3-ს, რეკომენდებულია რეგლამენტირებული შესვენებების დადგენა (ცვლის დაწყებიდან და სადილის შესვენებიდან ორი საათის შემდეგ, 20-20 წუთი).

მიწისქვეშ მომუშავეთათვის ორგანიზებული უნდა იყოს აუცილებელი ერთჯერადი ცხელი საკვები, კალორიულობით დღეღამის ნორმის არაუმცირეს 20%-ისა, რომელიც მოიცავს პირველ და მეორე ულუფას და ვიტამინიზირებულ სასმელს<sup>9</sup>.

<sup>9</sup> „ადამიანის ორგანიზმზე ლოკალური ვიბრაციისა და მანგანუმის ერთობლივი მოქმედების პროფილაქტიკა. მეთოდური მითითებები“. დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით N 263/ნ, 18.09.2002.

## 4. რა უნდა იცოდეთ თქვენი სამუშაო პირობების შესახებ

### 4.1. უსაფრთხოების რა ზომები უნდა იყოს დაცული საწარმოში?

#### 4.1.1. პარამეტრების მართვა ნორმატივების შესაბამისად

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილია სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მაჩვენებლები. ეს ნორმატივები უნდა გამოიყენებოდეს საწარმოო შენობების, ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობების, ვენტილაციის დაპროექტებისას. საწარმოო გარემოს ხარისხის შენარჩუნების და მომუშავეთა ჯანმრთელობაზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ხორციელდებოდეს სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებათა შემცველობის სისტემატიური კონტროლი<sup>10</sup>.

#### 4.1.2. პარამეტრების დაკვირვება

ბუნებრივი მასალების ღია წესით მოპოვებისას, საბადოების დამუშავებისა და ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ტექნოლოგიები უნდა ითვალისწინებდეს ხმაურის, მტვრის, ვიბრაციის დონეების მაქსიმალურ შემცირებას.<sup>11</sup>

კარიერზე, სადაც არსებობს შხამიანი აირების გამოყოფის წყაროები (ავტომობილების მუშაობა, ხანძრის უბნები, დრენაჟის წყლები, სამაფეთქებლო სამუშაოები და სხვ.) სამუშაო ადგილებზე კვარტალში ერთხელ მაინც აღებული უნდა იქნეს ჰაერის სინჯები მასში მავნე აირების შემცველობის ანალიზისათვის<sup>12</sup>. კარიერის ცუდად განიავებად და ყრუ ზონებში უნდა მოეწყოს ხელოვნური ვენტილაცია. ხოლო კარიერზე, სადაც გამოიყოფა მავნე მინარევები, უშუალოდ მათი გამოყოფის ადგილებზე გამოყენებულ უნდა იქნეს მტვრის, შხამიანი

<sup>10</sup> საქართველოში შრომის დაცვის ეროვნული მიმოხილვა, 2008, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N262/ნ, 2002 წლის 18 სექტემბერი, სამუშაო ზონის ჰაერში ვიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ;

<sup>11</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 14 აპრილის ბრძანება 178/ნ მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ;

<sup>12</sup> საქართველოს მთავრობის 2006 წლის 10 მარტის დადგენილება N53 საშიში საწარმოო ობიექტების (სადაც სრულდება ღია სამთო სამუშაოები) უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.



აირებისა და აგრესიული წყლების ჩახშობის ან დაჭერის საშუალებები. წელიწადის თბილ დროს, სამთო მასის ექსკავაციისას, მტვერწარმოქმნის შესამცირებლად უნდა წარმოებდეს აფეთქებული სამთო მასის სისტემატური მორწყვა წყლით. ჰაერის დადებითი ტემპერატურის შემთხვევაში, მტვერწარმოქმნის შესამცირებლად, უნდა მოხდეს საავტომობილო გზების მორწყვა. ზაფხულში კონვეიერებზე ხელით ქანის გამორჩევისას გამოყენებული უნდა იქნეს წყლით მორწყვა ან მტვერის ჩახშობის სხვა საშუალებები<sup>13</sup>.

**4.1.3. მაღნის გადაამამუშავებელ ფაბრიკებში შრომის ნორმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესაქმნელად აუცილებელია: სავენტილაციო და ასპირაციული მოწყობილობების დაყენება; ზომების მიღება მტვერწარმოქმნის და მტვერაირგამოყოფის შესამცირებლად ყველა უბანზე, სამსხვრევი, საშრობი და სხვა განყოფილებების, რეაგენტების საწყობების, მასალების ტრანსპორტირების ჩათვლით; დაუშვებელია სამუშაო ადგილებზე მანქანების, ძრავების და სხვა დანადგარების მუშაობით გამოწვეული ვიბრაცია და ხმაური აღემატებოდეს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.**

საწარმოო სათავსებში, სადაც მუდმივად იმყოფებიან ადამიანები, მათში ჰაერის გაჭუჭყიანების ხარისხის მიუხედავად, უნდა მოეწიოს ხელოვნური ვენტილაცია. სავენტილაციო და ასპირაციული დანადგარები უწყვეტად უნდა მუშაობდნენ ფაბრიკის სამუშაო საათებში.

სულ ცოტა კვარტალში ერთხელ უნდა მოხდეს ჰაერის სინჯების პერიოდული აღება მასში მტვერის შედგენილობის განსაზღვრის მიზნით. და აგრეთვე სამუშაო ადგილებზე ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის და ძვრადობის შემოწმება.<sup>14</sup>

სულ ცოტა კვარტალში ერთხელ უნდა მოხდეს ჰაერის სინჯების პერიოდული აღება მასში მტვერის შედგენილობის განსაზღვრის მიზნით. და აგრეთვე სამუშაო ადგილებზე ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის და ძვრადობის შემოწმება.<sup>14</sup>

**4.2. დამსაქმებლის ვალდებულებები**

საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო

<sup>13</sup> საქართველოს მთავრობის 2006 წლის 10 მარტის დადგენილება N53 საშიში საწარმოო ობიექტების (სადაც სრულდება ღია სამთო სამუშაოები) უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე.

<sup>14</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 17 აპრილის ბრძანება N1-1/609 “მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევ-სახარისხებელი, მამდიდრებელი, სააგლომერაციო და მომგუნდავებელი ფაბრიკების უსაფრთხოების წესები”-ს დამტკიცების თაობაზე.

სამუშაო გარემოთი. გარდა ამისა, დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე. დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო, საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.<sup>15</sup>

აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვანის, ორსული, ახალნაშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.<sup>16</sup>

თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა ან შეუმცირდა შრომის უნარი, ან იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

<sup>15</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, 2006, მუხლი 35

<sup>16</sup> საქართველოს შრომის კოდექსი, 2006, მუხლი 35



დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.

სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.<sup>17</sup>

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი, ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს ეს ზიანი.<sup>18</sup>

პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავის შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.<sup>19</sup>

**4.3. პასუხისმგებლობა შრომის წესების დარღვევისათვის**

სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ზოგ შემთხვევაში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.<sup>20</sup>

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის (მიუხედავად მისი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) თანამდებობის პირის მიერ შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 100 მინიმალურ ოდენობამდე. იგივე ქმედება ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 200 მინიმალურ ოდენობამდე.<sup>21</sup>

უსაფრთხოების ტექნიკის ან შრომის დაცვის სხვა წესის დარღვევა ამ წესის დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

<sup>17</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408  
<sup>18</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992  
<sup>19</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 997  
<sup>20</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 169  
<sup>21</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 42

იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ხოლო იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.<sup>22</sup>

**5. რა უნდა იცოდეთ თქვენი საკუთრების და შესაროპრიაციის შესახებ**

**5.1. შესაროპრიაცია**

ექსპროპრიაცია არის საკუთრების ჩამორთმევა ჩამორთმეული ქონების სათანადო კომპენსაციით.

კომპენსაცია არის მესაკუთრისათვის ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ სათანადო საკომპენსაციო თანხის გადახდა ან ჩამორთმეული ქონების საბაზრო ღირებულების მქონე სხვა ქონების გადაცემა.

რა საფუძველი შეიძლება არსებობდეს ექსპროპრიაციისთვის? - საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ექსპროპრიაციის შესაძლებლობას.

რა მიზნით შეიძლება განხორციელდეს ექსპროპრიაცია? - ექსპროპრიაცია ხორციელდება მხოლოდ განსაზღვრული სამუშაოების წარმოების მიზნით: გზისა და მაგისტრალის გაყვანა-შენიშვნისათვის; რკინიგზის ხაზების გაყვანისათვის; ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების მილსადენების გაყვანისათვის; ელექტროენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისათვის; წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანისათვის; სატელეფონო ხაზების გაყვანისათვის; სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის; საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობისათვის; ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის.<sup>23</sup>

<sup>22</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 170  
<sup>23</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, მუხლი 2





ვის შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება? - სახელმწიფო ორგანოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირს<sup>24</sup>.

ექსპროპრიაციის განხორციელებისათვის აუცილებელია:

1. პრეზიდენტის ბრძანებულება. რომელიც განსაზღვრავს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის გარდაუვალობას და სუბიექტს, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება.
2. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს საექსპროპრიაციო ქონების დეტალურ აღწერას და შესაბამის მითითებას მესაკუთრის სათანადო კომპენსაციით უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე.

ამასთან, პრეზიდენტის ბრძანებულება წინ უძღვის სასამართლოს გადაწყვეტილებას. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ რაიონული (საქალაქო) სასამართლო<sup>25</sup>.

**5.2. მესაკუთრისა და მესპროპრიაციორის ურთიერთობა**

პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ ექსპროპრიაციის უფლების მოპოვებით დაინტერესებული პირი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია ყველა მესაკუთრეს, რომლის ქონება ექვემდებარება ექსპროპრიაციას. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ცენტრალურ და შესაბამის ადგილობრივ პრესაში. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს პროექტისა და მისი განხორციელების ფარგლების, აგრეთვე ტერიტორიისა და, სავარაუდოდ, საექსპროპრიაციო ქონების მოკლე აღწერას. გარდა ამისა, ყველა მესაკუთრეს უნდა ეცნობოს სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოს მიერ განცხადების განხილვის თარიღი<sup>26</sup>.

<sup>24</sup> იგივე;  
<sup>25</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, მუხლი 3  
<sup>26</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, მუხლი 4

ექსპროპრიაციორი, რომელმაც მიიღო ექსპროპრიაციის უფლება მოვალეა წინასწარ შეუთანხმდეს ქონების მესაკუთრეს საექსპროპრიაციო ქონების კომპენსაციის წესის შესახებ. ექსპროპრიაციორმა ყველა სათანადო ღონისძიება უნდა განახორციელოს, რათა ქონება მიიღოს მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე<sup>27</sup>.

მოლაპარაკების დაწყებამდე ექსპროპრიაციორი თავისი ხარჯით, დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით აფასებს ქონებას და განსაზღვრავს კომპენსაციის სახით მესაკუთრისთვის გადასაცემ სავარაუდო საკომპენსაციო თანხას ან სხვა ქონებას საექსპროპრიაციო ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად<sup>28</sup>.

მესაკუთრე უფლებამოსილია თავისი ხარჯით ისარგებლოს სხვა დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით<sup>29</sup>.

ქონების შეძენაზე მოლაპარაკების დაწყებამდე ექსპროპრიაციორმა ქონების მესაკუთრეს უნდა წარუდგინოს წინადადება ქონების შეძენისა და ამ ქონების კომპენსაციის წესის შესახებ. კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულება ან საკომპენსაციო თანხა არ უნდა იყოს ექსპროპრიაციორის მიერ შეფასების შედეგად განსაზღვრულ თანხაზე ნაკლები<sup>30</sup>.

საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ მესაკუთრისათვის კომპენსაციის სახით სხვა ქონების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით<sup>31</sup>.

ექსპროპრიაციის დაწყებამდე ექსპროპრიაციორმა მესაკუთრეს უნდა გადასცეს წერილობითი საბუთი, სადაც მოცემულია:

- დასაბუთება ქონების ჩამორთმევის საზოგადოებრივი აუცილებლობის არსებობის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება და სასამართლოს გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ექსპროპრიაციორს მიენიჭა ქონების ჩამორთმევის უფლება;
- დასაბუთება ქონების საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის გამოყენების შესახებ;
- საექსპროპრიაციო ქონების მდებარეობისა და მოცულობის დეტალური აღწერა,

<sup>27</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, მუხლი 6  
<sup>28</sup> იგივე;  
<sup>29</sup> იგივე;  
<sup>30</sup> იგივე;  
<sup>31</sup> იგივე;



საკომპენსაციო თანხის ოდენობა ან კომპენსაციის სახით გადასაცემი სხვა ქონების დეტალური აღწერა და მისი საბაზრო ღირებულება<sup>32</sup>.

ქონების შეძენის შესახებ წინადადება უნდა ითვალისწინებდეს ასევე იმ ქონების კომპენსაციასაც, რომლის ზომა, ფორმა და მდგომარეობა უმნიშვნელოა და არაეკონომიურობის გამო – ნაკლებად ღირებული, მაგრამ დაკავშირებულია შესაძენ ქონებასთან და ამ ქონების გარეშე გამოუსადეგარია<sup>33</sup>.

**5.3 გასაჩივრების უფლება**

თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში<sup>34</sup>.

სასამართლო უფლებამოსილია თავად განსაზღვროს საექსპროპრიაციო ქონების კომპენსაციის სახე. სასამართლო უფლებამოსილია ქონების შეფასების მიზნით დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს სასამართლოს დასკვნას საექსპროპრიაციო ქონების, ასევე ამ ქონების სანაცვლოდ მესაკუთრისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის, აგრეთვე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ ქონების მესაკუთრისათვის გადასაცემი კომპენსაციის საბოლოო შეფასებას ახორციელებს სასამართლო<sup>35</sup>.

ექსპროპრიატორი ვალდებულია გადაიხადოს მხარეთა მიერ გადებული ყველა ხარჯი, მათ შორის სამართალწარმოების ხარჯები, აგრეთვე საექსპროპრიაციო ქონების შეფასებასთან და მის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები<sup>36</sup>.

<sup>32</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999, მუხლი 7  
<sup>33</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999, მუხლი 6  
<sup>34</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999, მუხლი 8  
<sup>35</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999 მუხლი 9  
<sup>36</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999, მუხლი 10

სასოფლო-სამეურნეო მიწის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ასევე მასზე არსებული ნათესების ღირებულება, რომელიც გამოიანგარიშება იმ შემოსავლის გათვალისწინებით, რომელსაც ქონების მესაკუთრე მისგან მიიღებდა მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში. თუ სასოფლო სამეურნეო მიწებზე თესვა განხორციელდა ქონების შეფასების შემდეგ, მათი ღირებულების გათვალისწინება კომპენსაციის განსაზღვრისას არ ხდება<sup>37</sup>.

**6. სასამართლო დავა**

**6.1. რა საპროცესო შედეგებს გვაძლევს სადავო?**

დავა საწარმოსა და მოსახლეობას შორის შესაძლოა წარმოიშვას საწარმოს საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი პრობლემური საკითხის თაობაზე. თუმცა, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, უკვე აწუხებს ჭიათურმანგანუმის საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას. ესენია: შენობა-ნაგებობებისათვის, მიწისა და მასზე განლაგებული ნარგავებისათვის მიყენებული ზიანი, დავა საკომპენსაციო თანხის ოდენობაზე, კომპენსაციის დროულად მიღების საკითხი და სხვა.

ყველა ზემოთ აღნიშნული, თუ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის პრობლემის წამოჭრისას, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ ბროშურაში განხილული სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმები და საჩივრით მიმართოთ შესაბამის ინსტანციას.

**6.2. სასამართლო**

სასამართლო საქმეების ძირითადი ტიპებია:

- სამოქალაქო საქმე – პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები პიზიკურ პირებს შორის. (განქორწინება, ალიმენტი, ზიანის ანაზღაურება, გამოსახლება, საბინაო დავა, ქონებრივი დავა);
- ადმინისტრაციული დავა - დავა ფიზიკურ პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის (ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, სახელფასო დავა, საპენსიო დავა, შრომითი დავები წარმოშობილი სახელმწიფო ორგანოებთან);

<sup>37</sup> საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999 მუხლი 11



- ☑ სისხლის სამართლის საქმე – სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით გათვალისწინებული დასჯადი ქმედების გამო წარმოებული საქმე (ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა, თაღლითობა და ა. შ.).
- ☑ საკონსტიტუციო დავა - საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობით გამოწვეული დავა.

სულ ორი ტიპის სასამართლო არსებობს. ესენია: საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო.

საერთო სასამართლოების სისტემა სამი დონის სასამართლოსგან შედგება ესენია: პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები. სარჩელით პირველად საქალაქო სასამართლოს უნდა მიმართოთ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კი - საკასაციო სასამართლოში. რიგი საქმეებისა თავიდანვე სააპელაციო სასამართლოში განიხილება (იმ შემთხვევაში დავა აღემატება 500 000 ლარს, თუ საქმე შეეხება ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, საქმეებს რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე).

**6.3. ხანდაზმულობა**

პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ანუ დროიდან როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ:

- ☑ ვალდებულების შესრულება გადადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);
- ☑ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა (მაგ. წყალდიდობა, მიწისძვრა. მეწყერი და ა.შ.);
- ☑ კრედიტორი, ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში.

ამასთანავე დრო, რომლის განმავლობაშიც

ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება, თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუწარმო ან შეზღუდული ქმედუწარმოების მქონე პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს; ან მიმართულია ასეთი პირისადმი, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუწარმოიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი.

კანონიერ წარმომადგენლის სახით ქმედუწარმო მოქალაქის აგრეთვე შეზღუდული ქმედუწარმოების მქონე მოქალაქის კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს. დამადასტურებელ დოკუმენტებში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება: დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება. კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს, რაც არ ართმევს მათ უფლებას თავადაც მიიღონ მონაწილეობა საქმის წარმოებაში.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადებს, კერძოდ: სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – 6 წელს.

ცალკეულ შემთხვევებში, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი (მევალე მოვალის წინაშე) უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით, სასამართლოში სარჩელის შეტანით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომში გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი





შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად.

თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.

თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

თუ უფლებამოსილი პირი 6 თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმუ-ლობას ექვემდებარება.

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

ამასთანავე, თუ ვალდებულმა პირმა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, რაიმე სახით აღიარა თავისი ვალდებულება მეორე პირის მიმართ, ვალდებულია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ვინაიდან მასზე აღარ გავრცელდება ხანდაზმულობის ვადა. რაიმე სახით აღიარება ნიშნავს ვალდებულების ხელწერილით აღიარებას ან ნაწილობრივ შეასრულებას, გადასახდელი თანხის ნაწილი ავანსის სახით გადახდას, სასამართლოზე ვალდებულების (ვალის) აღიარებას.

მთვარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ

მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. მაგალითად: თუ დავა ეხება სესხის ხელშეკრულების შესრულებას ვალის დაბრუნების მოთხოვნით და გასულია 3-წლიანი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მაშინ მოსარჩელე კარგავს უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის მოთხოვნის უფლებას.

ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.

**6.4. სასამართლოსათვის მიმართვა**

თუკი თვლით, რომ დაირღვა თქვენი რომელიმე კანონიერი უფლება, ან მოგადგათ რაიმე უშუალო ზიანი, ან შეგელახათ კანონიერი ინტერესი შეგიძლიათ მოითხოვოთ ამ უფლების დაცვა სასამართლოს მეშვეობით.

სასამართლოსთვის მიმართვისას თქვენ არ გჭირდებათ იმის მტკიცება, კანონიერი იყო თუ არა მეორე მხარის ქმედება. თქვენი მიმართვის არსი სასამართლოსადმი სწორედ თქვენი კანონიერი უფლების შელახვაა. თუ მეორე მხარეც კანონის ფარგლებში მოქმედებდა, მაშინ სასამართლო თავად აყენებს საკითხს კანონის ორი დებულების ურთიერთწინააღმდეგობის შესახებ, დადგენილი პროცედურით (შესაძლოა ზემდგომ, ან კონსტიტუციურ სასამართლოში მიმართვის გზით) იხილავს და წყვეტს მას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას თქვენს საქმეზე.

სასამართლოში სადაოდ გამხდარი ან დარღვეული უფლების დაცვის განხორციელება ხდება სარჩელის შეტანის გზით. სარჩელი უნდა წარადგინოთ წერილობითი ფორმით. სარჩელში აუცილებლად დაცული უნდა იყოს მისი შედეგის ფორმა და შინაარსი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის #1/456 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შესაგებლის განახლებული ფორმები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ აღნიშნული ფორმებით. ამ ფორმების და შესაბამისი ინსტრუქციების ნაბეჭდი ფორმით მოპოვება შესაძლებელია ნებისმიერ სასამართლოში, ხოლო ელექტრონული ფორმების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე<sup>38</sup>.

სამოქალაქო საქმეებზე დავის საგნის ფასს

<sup>38</sup> იხ. <http://hcoj.gov.ge/>



მიუთითებს მოსარჩელე, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, მაშინ დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილი იქნა სარჩელი. თუ სარჩელის შეტანის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება, ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება.

ადმინისტრაციულ საქმეებზე კერძო პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას. ამ შემთხვევაში მოსამართლე გადაწყვეტილებაში მიუთითებს თუ რომელი მხარის მიერ უნდა იქნეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და რა ოდენობით.

იმისათვის, რომ სასამართლო წარმოებაში მიიღოს თქვენი სარჩელი, იგი უნდა პასუხობდეს არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, არამედ თქვენ ვალდებული ხართ სარჩელის სასამართლოში შეტანისას, კანცელარიაში ჩააბაროთ სარჩელის და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი რამდენი მოპასუხეც გყავთ. ერთი ეგზემპლარი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ყველა შემთხვევაში სასამართლოს რჩება, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეგზავნება მოპასუხე მხარეს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი ეგზემპლარი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების აუცილებლად უნდა დაიტოვოთ თქვენ, რომელზეც კანცელარიაში მოაწერინებთ ხელს, რომ სასარჩელო განცხადება ჩაიბარეს, დაასმევინებთ ჩაბარების თარიღს და ვინ ჩაიბარა.

აღნიშნული წესი გამოიყენეთ ასევე განცხადების ჩაბარების დროსაც, ანუ განცხადების ჩაბარებისას ერთ განცხადებას ტოვებთ კანცელარიაში, როლო მეორე ეგზემპლარზე აწერინებთ ხელს, რომ ჩაიბარეს განცხადება. მეორე, ხელმოწერილი ეგზემპლარი ინახება თქვენ.

მაგალითად, თუ სარჩელი შეგაქვთ ერთი მოპასუხის მიმართ, სასამართლოში უნდა შეიტანოთ ორი სასარჩელო განცხადება თავისი თანდართული დოკუმენტებით. მესამე ეგზემპლარს, რომელზეც ხელს აწერინებთ, ინახავთ თქვენ.

მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება თქვენი სარჩელის მიღების

შესახებ. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი არ არის შეტანილი კანონით დადგენილი წესით, ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, მაშინ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და განჩინებით მოსარჩელეს ეძლევა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. სასამართლო, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ვალდებულია მოპასუხე მხარეს გადაუგზავნოს სასარჩელო განცხადების ასლი თანდართული დოკუმენტებით.

მოსამართლემ შესაძლოა არ მიიღოს სარჩელი წარმოებაში თუ:

- საქმე არ არის ამ სასამართლოს განსჯადი;
- სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას.
- სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე.
- განცხადება შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა (არ აქვს რწმუნებულება);
- სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე დავაზე და იმავე მხარეებს შორის;
- მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ დავას გადაწყვეტს კერძო არბიტრაჟი.

მოსამართლეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია კერძო საჩივრით, რომელიც შეიტანება იმავე სასამართლოში იმავე მოსამართლის სახელზე. განჩინების გასაჩივრების ვადა მითითებული იქნება თავად განჩინებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღიან ვადაში.

საქმის განხილვა ასევე შეიძლება დამთავრდეს მხარეთა მორიგებით, ამ შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რითაც ამტკიცებს მორიგების პირობებს.

**6.5. სახელმწიფო ბაჟის განაპირობება**

მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ სარჩელს სასამართლოში შეტანისას უნდა დაურთოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი



დოკუმენტი.

სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის.

სასამართლოში საქმის განხილვისათვის ბაჟის გადახდის წესი და ოდენობა გამომდინარეობს კონკრეტული დავიდან.

ზოგადად, სამოქალაქო დავაზე, რომელიც არ ეხება ქონებრივ დავებს, დადგენილია სახელმწიფო ბაჟის 30 ლარის ოდენობით გადახდა, გარდა ქვემოთ მოცემული გამონაკლისებისა.

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით:

- ☑ სარჩელებზე აგრეთვე განცხადებებზე გამარტივებული გადახდის ბრძანების მიღების შესახებ სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;
- ☑ სააპელაციო საჩივრებზე: სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტი მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა; - სააპელაციო საჩივარში იგულისხმება რაიონული, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეების მიერ სააპელაციო სასამართლოში.
- ☑ საკასაციო საჩივრებზე: სადავო საგნის ღირებულების 5 პროცენტი მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა; - საკასაციო საჩივარში იგულისხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეების მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
- ☑ კერძო საჩივრებზე – 50 ლარი
- ☑ განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ – 50 ლარი; - სარჩელის უზრუნველყოფა გულისხმობს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას, მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის შეზღუდვის გზით (ქონების ან ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების დაყადაღება, მტკიცებულების გამოთხოვა, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, მოპასუხის დავალდებულება რაიმე მოქმედების შესრულებაზე). ამასთანავე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანა შესაძლებელია

გადაუდებელ შემთხვევაში (ქონების მოსალოდნელი გაყიდვა, გაჩუქება, ფიქტიური გასხვისება, გადამალვა) სარჩელის სასამართლოში შეტანამდე უზრუნველყოფის რომელიმე ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში სასამართლო განჩინებით ადგენს ვადას რა ვადაშიც უნდა მოხდეს სარჩელის შეტანა სასამართლოში.

- ☑ განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 100 ლარი, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარი.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ერთი სასამართლო წარმოების ყველა ინსტანციისათვის არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირისათვის 10 ათას ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის 15 ათას ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: ფიზიკური პირისათვის 3 ათას ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის – 5 ათას ლარს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში – ფიზიკური პირისათვის 5 ათას ლარს, იურიდიული პირისათვის 7 ათას ლარს. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში – ფიზიკური პირისათვის 6 ათას ლარს, იურიდიული პირისათვის – 8 ათას ლარს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება შემდეგი ოდენობით: ფიზიკური პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე – 10 ლარი; იურიდიული პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე – 55 ლარი;

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები სახელმწიფო ბაჟში გარკვეული კატეგორიის მოსახლეობაზე, კერძოდ:

- ☑ ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;
- ☑ მოსარჩელენი – სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს სასავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან, სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით აგრეთვე





მარჩენალის სიკვდილით, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;

- ☑ ინვალიდები, ინვალიდთა საერთაშორისო ორგანიზაციები, მათი დაწესებულებანი, სასწალო-საწარმო ორგანიზაციები და გაერთიანებები ყველა სარჩელზე;
- ☑ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით;
- ☑ მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე – სარჩელზე არასრულწლოვანის უფლებების დარღვევას ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდებინება: თუ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი კანონის რომელიმე მუხლის არაკონსტიტუციურობაზე. ამ შემთხვევაში, სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს ან აღიარებულია ქმედუუნარო პირად.

სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას, გაცემული უნდა იქნეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე შესაბამისი ადგილობრივი

საფინანსო ორგანოების მიერ იმ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ.

სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ასევე, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან გადაუწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლოს ხარჯების გადახდა ან შეამციროს ხარჯების ოდენობა.



**7. გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ, 10.12.1997წ;
2. საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 23.07.1999წ;
3. საქართველოს შრომის კოდექსი, 2006წ;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997წ;
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999წ;
6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984წ;
7. „ჭიათურის მანგანუმის ღარიბი და შერეული მადნების გადამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფა“, ავტორი: არჩილ გრიგალაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006 წ;
8. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი“ დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის N53 დადგენილებით;
9. „ადამიანის ორგანიზმზე ლოკალური ვიბრაციისა და მანგანუმის ერთობლივი მოქმედების პროფილაქტიკა. მეთოდური მითითებები“. დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით N 263/ნ, 18.09.2002
10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 216/ნ, პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი. 13.07.2007წ.
11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N78/ნ, მძიმე მრეწველობის ზოგიერთი ტიპის საწარმოს მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ. 14.14.2004წ.
12. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N262/ნ, სამუშაო ზონის ჰაერში ფიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ .18.09.2002წ.
13. საქართველოს მთავრობის დადგენილება N53 საშიში საწარმოო ობიექტების (სადაც სრულდება ღია სამთო სამუშაოები) უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე. 10.03.2006წ.
14. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/609 “მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის სამსხვერვე-სახარისხებელი, მამდიდრებელი, სააგლომერაციო და მომგუნდავებელი ფაბრიკების უსაფრთხოების წესები”-ს დამტკიცების თაობაზე. 17.04.2007წ.
15. სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი. სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“. ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. თბილისი, 2008წ.
16. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე. თბილისი, 26.02.2009 წ.
17. სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი. სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“. შპს „ჯორჯიან მანგანუმი“. ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა. ქ. ჭიათურა, 2009 წ.
18. სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი. სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“. შპს „ჯორჯიან მანგანუმი“. ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა. ქ. ჭიათურა, 2010 წ.
19. „წიაღისეულის მოპოვება და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ეკოსისტემები: რისკების განსაზღვრა“, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი, ვაშინგტონი, 2003 წ. [http://pdf.wri.org/mining\\_critical\\_ecosystems\\_full.pdf](http://pdf.wri.org/mining_critical_ecosystems_full.pdf)
20. „მოპოვებითი მრეწველობის ზეგავლენა განვითარებად ქვეყნებზე“, დედამიწის მეგობრები - ევროპა, 2007წ. <http://www.foeurope.org/corporates/Extractives/social.pdf>
21. „იცოდეთ თქვენი უფლებები, თუ განიცადეთ მატერიალური ზიანი წიაღისეულის მოპოვების შედეგად“, მოქალაქის სახელმძღვანელო, მწვანე ალტერნატივა, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, 2006 წ.



ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 2000 წელს. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის გზით, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საშუალებით.

დაარსების დღიდან ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში; გარდა ამისა, ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ენერგეტიკა/კლიმატის ცვლილება და სიღარიბის დაძლევა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა, ხე-ტყის არალეგალური ჭრის და ველური ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობა.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირვებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრი. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. ასოციაცია არის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის წევრი (CEE Bankwatch Network); მკიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის "გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის" წევრი, რომელიც დაარსდა 2008 წელს. 2009 წლიდან მწვანე ალტერნატივა იწყებს "საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის ქსელის" ჩამოყალიბებას (Georgian Advocacy Network for Environmental and Social Justice).

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული, ბინა №13

ტელ: 22 38 74; 29 27 73; ფაქსი: 22 38 74

[greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org); [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.